[illegible] ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

31 დეკემბერი
შაბათი
1917. დეკრეტი სამოქალაქო ქორწინების შესახებ.
ფინეთის გამოყოფა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა [illegible] უქმეებისა დილ. [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 [illegible] №

№ 251 შაბათი, 31 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 31 დეკემბერი, 1921 წ. № 251

დღეს, 31 დეკემბერს, სწორედ საღამოს 6 საათზე, თბილისის საბჭოს შენობაში შესდგება

თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

დღის წეს-რიგი;

1) თბილისის საბჭოს დებულება;
2) სავალდებულო დადგენილების პროექტი საბინაო საკითხის შესახებ;
3 მოხსენება სახალხო განათლების განყოფილებისა;
4) მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილებისა.

აღმასრულებელ კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისის საბჭოს სხდომა

ორშაბათს, 2 იანვარს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში შესდგება თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა:

დღის წეს-რიგი:

1) დებულება თბილისის საბჭოზე,
2) ბინის საკითხი;
3) სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება;
4) მიმდინარე საქმეები.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

გერმანია დიდი ამბების მოლოდინში

დღევანდელი გერმანიის სინამდვილე და იქ მიმდინარე ამბები იპყრობენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთი უმთავრესი ეპიზოდთაგანი ამ სინამდვილის, ამ დღეებში დათავებული სიეზდი სრულიად გერმანიის ფაბზავკომების, ფრიად დამახასიათებელი მაჩვენებელია მშრომელთა ფართო მასსებში მომხდარი გარდატეხის და „რევოლიუციონური მოძრაობის ახალ საფეხურზე გადასვლის. 1918 წლის ნოემბრის რევოლიუციის შემდეგ გერმანიაში არ ჰქონია ადგილი ყველა პროფესიისა და პარტიის მუშათა მასსიური გაერთიანების ისეთ ცდას რევოლიუციონური პლატფორმის ნიადაგზე, როგორის მოწამე ვხდებით ჩვენ დღეს.

ვერსალის „საზავო“ ხელშეკრულებამ ჯოჯოხეთური პირობები შეუქმნა გერმანიას. გაბატონებული კლასების სამკვდრო სასიცოცხლო მეტოქეობით გამოწვეულ ომში გამარჯვებული მხარე, ცხადია, არ დაინდობდა დამარცხებულს და გერმანიამაც განიცადა მთელი საშინელება სამხედრო ფრონტზე განადგურებული ოდესღაც [illegible]. ის არა მარტო სისხლისაგან დაშრა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მისთვის გამაპარტახებელი და დამღუპველი შექმნა კიდევ ეკონომიური შედეგები ამ დამარცხების. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, და ხდება ყოველთვის, მთელი სიმძიმე ამ საშინელებების თავზე დაატყდა მის მშრომელთა ნ წილს, სოფლის მეურნესა და ქალაქის მუშას. აუტანელი ნატურალური და ფინანსიური კონტრიბუციის მსხვერპლი პირველ ყოვლისა შეიქნენ სწორეთ ისინი. ფაბრიკა-ზავოდების შეჩერებამ, ქალაქის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის დაშლამ სწორეთ მასებს მოუქცია სასიკვდილო ცელი და გამოყარა ისინი ქუჩაზე—ქალაქებში, დაანგრია მათი მეურნეობა—სოფლათ, მოუსპო მათ სარჩო-საბადებელი. უმუშევრობას მიემატა ყველა პირველ მოთხოვნილების საგნებზე ზღაპრული ფასების ზრდა, ფულის ღირებულების ჯერ კიდევ არ ნახული დაცემა. უმთავრესი დამნაშავე, ომის ცეცხლის წამკიდებელი და ქვეყნის ამაოხრებელი გერმანიის მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია დღეს იმის ცდაშია, და რამოდენიმეთ ამას ახერხებს კიდევაც, რომ ის მილიარდები, რომლებიც თავზე მოახვიეს დამარცხებულ ქვეყანას ვერსალის ყაჩაღებმა, ამოიღონ მშრომელი ხალხის დაცარიელებული ჯიბეებიდან და მთელი სიმძიმე დადებული კონტრიბუციის გადაიდონ ისედაც გაძვალტყავებულ მუშებსა და გლეხებს. ეს იწვევს გერმანიის მშრომელი ხალხის მღელვარებას და ასეთ პირობებში უხდება ქვეყნის მართვა ვირტის კოალიციონურ მთავრობას, რომელშიაც შედიან მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, ბურჟუაზიასთან თავისი თანამშრომლობით ეს უკანასკნელები თანდათან ჰკარგავენ თვით თავის „სამწყსოში“ გავლენას, რომელიც მათ ამდენხანს ჰქონდათ. თავის მწარე გაკვეთილებით ცხოვრება ცხვირპირში უტყამს შეიდემანის ოდესღაც მრავალრიცხოვან მიმდევრებს და თვალს უხელს მათ ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ. გერმანიის შემთანხმებელთა მიმყოლი მშრომელთა ჯარი თანდათან ეთხოვება „კოალიციონურ“ ილიუზიებს, ის თანდათან ეცლება ეხლანდელი მთავრობის ერთ დასაყრდნობ ყავარჯენს, მემარჯვენე სოციალდემოკრატიულ პარტიას, და ჰპოულობს საერთო ენას, ეძებს სხვა მემარცხენე მუშათა პარტიულ და პროფესიონალურ მასსებთან საერთო მოქმედების ხაზს. ასეთი სინამდვილის პირობებში, როდესაც ახალი რევოლიუციონური ქარტეხილი იწყებს უკვე ამოვარდნას, მასების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინიციატივა იხრება ჩვენი ძმური კომუნისტური პარტიისაკენ გერმანიაში და ისიც, უკვე საკმაოთ გამოცდილი და ბრძოლებში გამობრძმედილი ამ წლის მარტის გამოსვლების შემდეგ, თავს უყრის თანდათან თავის გავლენის ქვეშ გერმანიის პროლეტარიატს. ამის აშკარა მაჩვენებელია გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის განსაკუთრებით უკანასკნელი ორი თვის მოღვაწეობა.

მისი ინიციატორობით მოხდა ამ ხუთი კვირის წინათ, 23 ნოემბერს, ბერლინში ფაბრიკებისა და ზავოდების კომიტეტების კონფერენცია რომელსაც, მიუხედავათ შეიდემანელების წინააღმდეგობისა და უშედეგო პროტესტებისა, დაესწრნენ ამ პარტიის მიმდევრებიც მუშათა წრეებიდან. ეს იყო ერთი დიდი გაფრთხილება, რომელიც მიიღო სოციალშემთანხმებელთა ლიდერებმა. კონფერენციამ დაავალა მათ გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებას, მოეწვია ორ კვირეში უფრო ფართო სიეზდი გერმანიის ფაბრიკა-ზავოდების კომიტეტების და იმ შემთხვევისთვის, თუ ის უარს განაცხადებდა ამაზე, ეს სიეზდი მაინც იქნებოდა მოწვეული საორგანიზაციო კომისიის მიერ, რომელიც არჩეულ იქმნა ნოემბრის თათბირზევე. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, აშკარად ხედავდნენ რა, რომ მუშათა ფართო მასებში იღვიძებდა ინტერესი ოდესღაც ძლიერი და შემთანხმებლების მიერ პოლიტიკურ არარაობათ ქცეული ნოემბრის რევოლიუციის დროინდელი მუშათა საბჭოების მიმართ, დამდგარნი მთელი თავის გავლენის საბოლოოთ დაკარგვის შესაძლებლობის წინ, ისინი იძულებული შეიქმნენ დასთანხმებულიყვნენ და აქტიური წინააღმდეგობა არ გაეწიათ თავის მიმდევარ მუშებისათვის, [illegible] ფაბრიკა-ზავოდების საბჭოების სიეზდს სადაც უნდა მომხდარიყო დემონსტრაცია მემარცხენე სოციალისტურ პარტიებთან შეთანხმებული გამოსვლისა და გაერთიანებულ კომუნისტების მიერ წამოყენებული რევოლიუციონური ლოზუნგების ქვეშ. მთელი გერმანიის წარმოებითი მუშათა საბჭოების ყრილობა, რომელიც დათავდა გერმანიაში, ამ დღეებში, თანახმად დღეს ჩვენ გაზეთში მოთავსებული ტელეგრამისა, ერთი უტყუარი მაჩვენებელია პროლეტარიატში მომხდარი გარდატეხის, კოალიციონურ ტაქტიკის ძირიან ბუდიანათ შერყევის, შეიდემანელების დამარცხებისა და კომუნისტური პარტიის გაძლიერების.

ამნისტია დატყვევებული კომუნისტების და სხვა პოლიტიკური დამნაშავეების, სახელმწიფო გადასახადების ბურჟუაზიაზე გადადება, ხელში აღება და კონტროლი მისი ქონების და წარმოების, ხალხის კვების და სურსათის განაწილების საქმის პროფესიონალური კავშირებისთვის გადაცემა—ასეთია უმთავრესი მოთხოვნილება გერმანიის პროლეტარიატის დღეს. გატარებული ცხოვრებაში ეს ნიშნავს კოალიციონური მთავრობის აფეთქებას და მუშათა ხელისუფლების გამოცხადებას გერმანიაში. ამ მომავალ მუშათა მთავრობას გერმანიის კომუნისტური პარტია ჰპირდება მთელი თავისი ძალ-ღონით დახმარებას.

გერმანიის ყველა ოლქების ფაბრიკა-ზავოდების კომიტეტების კონფერენცია უდიდესი დემონსტრაციაა ყველა მუშების ძალთა გაერთიანებისა და შეთანხმებული ბრძოლის დაწყების. საშინელმა სინამდვილემ, ბურჟუაზიის თავკასულობამ შიგნით, ანტანტის ძალადობამ გარედან, შექმნა გაერთიანებული ფრონტი გერმანიის პროლეტარიატის, რომელზედაც გავლენა ხელიდან უსხლტება სოციალდემოკრატიას და გადადის ჩვენი ამხანაგებისაკენ. გერმანიის პროლეტარიატი რწმუნდება, რომ პარლამენტი და მისი მთავრობა ვერ დაუშუშებს გერმანიის ცხოვრების ჭრილობებს, რომ საჭიროა უფრო რადიკალური ზომები და ამისთვის კი გაერთიანება მთელი პროლეტარიატის. ეს გაერთიანება პირველათ დღეს ხდება უეჭველ სინამდვილეთ და სწორეთ ეს აგდებს საგონებელში გერმანიის გაბატონებულ კლასებს. „ასეთი პოლიტიკური რადიკალიზმი არასოდეს არ გამოუჩენიათ მსგავსი სოლიდარობით სამივე მიმართულების სოციალისტებს“-ო, სწერს რეაქციონური გაზეთი „ტეგლიხე რუნდშაუ“.

გერმანიაში უბერავს „ოქტომბრის“ სიო. ყველა ნიშნებია, რომ ის იქცევა ოქტომბრის რევოლიუციონურ ქარიშხლათ. ეს იქნება გაგრძელება რუსეთის რევოლიუციის, გამარჯვება მსოფლიო ოქტომბრის.

გამარჯვების ყიჟინა საფლავიდან

1 ნოემბერს მენშევიკები შეეცადნენ გამოეწვიათ თბილისის მუშების და მოსამსახურეების საერთო გაფიცვა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მუშების ყინულისებურ გულგრილობას წააწყდნენ. ასე გასინჯეთ, იმ მიტინგმაც კი, რომელზედაც მათ პროვოკაციული ხრიკით მოიტყუეს რკინის გზის სახელოსნოების მუშები, ისეთი სამარცხვინო რეზოლიუცია მიაკრა მათ შუბლზე, რომ საფლავის ქვაზე უფრო მძიმეთ უნდა მოჩვენებოდათ. დანარჩენ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები კი ადგილიდანაც არ დაძრულან, ისე უჩვენეს გზა კოლებისაკენ გაფიცვაზე ლალადებელ და [illegible] მენშევიკების მოციქულებს.

მენშევიკების ცდამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქო გოგირდის წუწუმმა აანთო ერთი წუთით, ცოტაოდნათ ჰაერი აამყრალა და უკვალოთ ჩაჰქრა.

ის პარტია, რომელსაც სულ ახლო წარსულში თავი მოჰქონდა მუშების, გლეხების და ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების [illegible] მატარებლათ, პარტია, რომელიც ყველა ინტერნაციონალის საყვარელ შვილათ ითვლებოდა, რასაკვირველია ვერ შეურიგდებოდა ასეთ მარცხს და გამარჯვებას დაიკვეხნიდა თავის პოლიტიკური კაპიტალის უკანასკნელი ნამცეცების დაკარგვის გამო.

როგორც მოსალოდნელი იყო წუთიერი გოგირდის წუწუმის ჩრჩოლვა მენშევიკებმა კონტრრევოლიუციის მეზნებარე ალათ მოაჩვენეს ევროპის ბურჟუაზიას, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო კონტრრევოლიუციის ალათ.

საფრანგეთის ბანკების ორგანო „ტანი“, 16 დეკ ნომერში აქვეყნებს „საქართველოს ამბებს“ ასეთ ქვე სათაურებით: „ერთდღიური საყოველთაო გაფიცვა თბილისში“, „ტერორი“, „ორი ათასზე მეტი დაპატიმრებული თბილისში“ და სხვ.

ასეთი უტყუარი ცნობები „ტან“-ს უსესხებია მეორე ბურჟუაზიულ გაზეთიდან „ბოსფორი“, რომელიც სტამბოლში გამოდის, ე. ი. იქ, სადაც თავმოყრილია უმეტესობა საქართველოდან გაქცეულ მენშევიკებისა, რომლებიც ნოეს კიდობანით მიადგნენ ოსმალეთის სატახტო ქალაქს, ბათუმიდან ექსორიის შემდეგ.

ბურჟუაზიული გაზეთების ინფორმაცია იმეორებს იმ ზღაპარ არაკებს „მუშათა დელეგაციის“ შესახებ, რომლის არსებობა ან არჩევა არ გაუგონია არც ერთ თბილისელ მუშას. ამ საზღვარგარეთ გამოცემულ ზღაპარში ახალია მხოლოდ დამატება, თითქო დელეგაციის მისვლისას „სასახლეში (რევკომში) პანიკა დატრიალდა“. თუმც გაზეთი არ აგვიწერს ამ პანიკის საშინელ სურათს, მარა უნდა ვიფიქროთ, რომ რევკომის თავმჯდომარეს, სულ ცოტა, გული წაუკიდა და გრძნობა დაკარგა, რევკომის წევრებმა იწყეს ფანჯრებიდან გადახტომა სასახლის ბაღში, მოსამსახურეები კი დივანს ქვეშ შეხოხდნენ...

მაგრამ მიუხედავათ ასეთი პანიკისა დელეგაცია მაინც დაპატიმრებული აღმოჩნდა. ამის საპასუხოთ „1 ნოემბერს დილიდანვე ყველა მუშებმა—ტრამვაისა, რკინის გზელებმა, არსენალისა, მბეჭდავებმა, სახელმწ. ქაღალდების ექსპედიციისა, თამბაქოს ქარხნებისა და სხ.—გამოაცხადეს გაფიცვა!!..

ეს ცოტაა: „4 ნოემბერს მათ შეუერთდნენ 2000 ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურენი“... უნდა დავასკვნათ, რომ საყოველთაო გაფიცვა გაგრძელებულა 1-დან 4 ნოემბრამდე მაინც, როცა მას ახალი დაუჭირეს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებმა და ისიც ორი ათასი გაფიცულთა ოდენობით!!

ასეთი ჯოჯოხეთი დატრიალებულა თურმე, მარა მიუხედავათ ამისა წყეული საბჭოთა ხელისუფლება არა თუ არ დამხობილა, პირიქით საშინელი რეპრესიები გაუჩაღებია—„2 ათასზე მეტი კაცი“ დაუპატიმრებია მარტო თბილისში.

მარა კიდევ უკეთესია ცნობის დაბოლოვება—აქ ბურჟუაზიის და მენშევიკების მატყუარებს სულ მთლად ებნევათ დავთრები და მიედ მოედებიან: „ამ დღეებში მთელს საქართველოს განსაკუთრებული ინტენსიური სიცოცხლე ეტყობოდა. თბილისში იკრიბებოდა ათეული მიტინგები. მარტო რკინის გზელთა მიტინგმა მიიზიდა 10000 კაცი (!). ყველა მიტინგებზე გამოიტანდათ უკიდურესათ მკაცრი რეზოლიუციები. გადაწყდა ერთდღიური საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება. ამ დღეს მთელი ქალაქი მიკვდა. შეჩერდა მატარებლის მოძრაობა, გაჩერდა ტრამვაი. დაიხურა მაღაზიები. კომუნისტები დაიჭირეს“.

სიცრუის ამ ნაკადში მართალია მხოლოდ ერთი რამ: მთელი საქართველო, და უპირველეს ყოვლისა თბილისი, მართლა ინტენსიურათ გამოეხმაურა ერთი მუჭა გაკოტრებულ მენშევიკების პროვოკაციულ ცდას; გამოტანილ იქნა „უკიდურესათ მკაცრი შინაარსის რეზოლიუციები“; მაგრამ ვის წინააღმდეგ, პატივცემულნო ბურჟუა—მენშევიკებო? სწორედ წინააღმდეგ იმ მენშევიკურ პარტიისა, რომლის პოლიტიკურ ლეშს ასაფლავებდნენ იმ დღეებში საქართველოს მშრომელნი.

და რამდენიმე კვირის შემდეგ მშრომელ მასსებმა უშველებელი სარი ჩაურჭეს მიცვალებულის საფლავს თბილისში და ბათუმში წითელი საბჭოების არჩევით, იმ საბჭოების, სადაც არც ერთი მენშევიკი არ გაიყვანეს.

დეე ყველგან და ხშირად განმეორდეს ასეთი „მკაცრი შინაარსის რეზოლიუციები“, დეე ხშირად დაეტყოს ასეთი „დარბევა“ კომუნისტებს ყველგან, ნამეტურ საფრანგეთში და მაშინ საბჭოთა ხელისუფლების სხივები მოეფინებიან რეაქციონური ბურჟუაზიის და მის ყურმოჭრილ „დემოკრატიის“ სამფლობელოს, იმ ბურჟუაზიისა და დემოკრატიისა, რომელთაც სწყურიათ გამარჯვებულ მუშა-გლეხების სისხლი, რომელნიც სტყუიან და ცილს სწამებენ მშრომელთა მთავრობას.

მ. ო.

ვინ უტეხს სახელს საბჭოთა წესწყობილებას?

„. . . ბეგარის საკითხის გადაჭრა დაყენებულ უნდა იქნას კანონის ფარგლებში...“

სოფ. პატარძეულის გლეხების განაჩენიდან.

სოფ. მივიწყებულია. ის მიტოვებულია ხვთის ანაბარად და ცენტრიდან მას ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ, რაც ნებას აძლევს ხშირად, ადგილობრივ ხელისუფალთა შორის შემთხვევით შეჩრილ ელემენტებს, რომლებიც სრულებით არ არიან დაინტერესებული საბჭოთა წესწყობილების გამტკიცებაში და თავის სასარგებლოდ ხმარობენ ძალა უფლებას, თავისებურად ატარებენ ცხოვრებაში გამოცემულ კანონებს, იქცევიან ისე, როგორც მათი პირადი ინტერესები მოითხოვს. ზემოყვანილის დასამტკიცებლად საკმაოა სართაჭალის რაიონის სოფ. პატარძეულის მცხოვრებლების განაჩენიდან შემდეგი სიტყვების მოყვანა: „ბეგარის საკითხის გატარება დაყენებულ უნდა იქმნას კანონიერ ფარგლებში“... შეიცავს თუ არა სიმართლეს ეს? რამ გამოიწვია ამ განაჩენის გამოტანა და ამისათვის ტფილისში რამოდენიმე კაცის გამოგზავნა, რათა მათ ეძიებათ „შუამდგომლობა მთავრობის წინაშე“, ამისათვის აუცილებელია აქვე მოვიყვანოთ რამოდენიმე საბუთი, იმ 18 მოწერილობიდან რომლებიც სართაჭალის რაიონულ რევკომის და მილიციის უფროსის მიერ გაგზავნილი ყოფილა პატარძეულის კომისრის სახელზე:

1. „დამატებით ჩემი მოწერილობისა, წინადადებას გაძლევთ წარმოადგინოთ 24 საათში 5 ურემი შეშა, უკიდურეს შემთხვევაში იქნებით დაპატიმრებული და გაგზავნილი როგორც საბოტაჟნიკი“. 3 | 11, ხელს აწერს მილიციის უფროსი.

2. „წინადადებას გაძლევთ ხვალ შუადღისათვის წარმოადგინოთ ორი კარგად შეკაზმული ცხენი“, 7 | 11, ხელს აწერს მილიციის უფროსი.

3. „წინადადებას გაძლევთ ხვალისათვის წარმოადგინოთ ჩვენს განკარგულებაში ოთხი ურემი შეშა“, 29 | 10, ხელს აწერს მილიციის უფროსი.

4. „შენ თუ არ გინდა პატარძეულიდან მოხვდე ჩეკაში, გიბრძანებ რომ, როცა მე ვწერამ ბრძანებას, შენ უნდა იგი შეასრულო დაუყონებლივ..“ 24 | 12. ხელს აწერს მილიციის უფროსი.

5. „ამით მოგიწერ, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხვალ, საღამოთი გადმოიტანოთ რევკომში 15 ურემი შეშა. ამის არა ასრულებისათვის იქნებით მიცემული პასუხის-გებაში“. 26 | 12, ხელს აწერს რევკომის თავმჯდომარე.

6. „გიბრძანებთ, რომ დღესვე არა უგვიანეს 2 საათისა, გამოგზავნოთ ორი შეკაზმული ცხენი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებით დაპატიმრებული და პასუხის გებაში „მიცემული“, 18 | 12, ხელს აწერს მილიციის უფროსი.

დანარჩენების გამოქვეყნება ზედმეტია, ვინაიდან ესეც საკმაო სინათლეს ჰფენს მთელ სურათს, ხოლო უნდა ითქვას, რომ დანარჩენებშიაც ხშირად ხვდება წინადადება შეშის ჩამოტანის შესახებ და აღსანიშნავია აგრეთვე თვით ფორმა მიმართვისა, და ვადა წინადადების შესრულებისა; შეშის მოსატანად ერთი დღის ვადაც არ გამოდის. ყველაზე უფრო გასაკვირალია „ორი კარგი შეკაზმული ცხენი“.

გადავიდეთ ეხლა თვით პირდაპირ საგანზე. მე რასაკვირველია შეშის რაოდენობას არ შევეხები. სოფ. პატარძეულის კომისრის მიწერილ საბუთებიდან სჩანს, რომ ისინი შეშის მომარაგებაში მარჯვეთ ყოფილან.

აქვს თუ არა მილიციას ან ადგილობრივ რევკომს უფლება, რომ სოფლელებს აზიდვინონ თავისთვის შეშა? აქვთ თუ არა მათ უფლება სოფლელების ბეგარაზე გამოყვანის?

სართაჭალის რაიონის სხვა სოფლებიდანაც, თანახმად შრომის კომისარიატის დადგენილებისა, შრომის და ტვირთსაზიდავ საშუალების ბეგარაზე გამოყვანა შეიძლება მხოლოდ სამაზრო რევკომის შრომის განყოფილების ნებართვით, ისიც თვეში განსაზღვრული დრო, არა უმეტეს 4 დღისა თითოსთვის. გამოყვანა უნდა სწარმოებდეს რიგ-რიგობით; როგორც პატარძეულის გლეხების განცხადებიდან სჩანს, ამ ბეგარაზე გაყვანას არავითარი ბოლო არა აქვს, არ არსებობს არავითარი რიგი და ერთსა და იმავეს უხდება ხშირად გამოსვლა, მაშინ, როცა მეორე სრულიად თავისუფალია. ეს ჰქმნის აუტანელ მდგომარეობას. მათი განცხადებით ბეგარაზე გაყვანილი ცხენებს უვარგისად თვლიან („კარგი შეკაზმულს“ მოითხოვენ ბევრს აქებენ და სხვ).

ამრიგად ადგილობრივი ხელისუფლების მატარებელნი, იმის მაგივრად, რომ დაიცვან მცხოვრებლების ინტერესები და ცხოვრებაში გაატარონ მუშა-გლეხთა სახელმწიფოს კანონები და დადგენილებანი, თვით არღვევენ მათ, და რაც მათ სურთ იმას ატარებენ ცხოვრებაში. ყველაფერ ამას კი ისინი სახელმწიფოს ორგანოების სახელით აკეთებენ. „თუ არ გინდა მოხვდე ჩეკაში“-ო, ასე იმუქრებიან.

ზემომოყვანილს თუ გავითვალისწინებთ, პატარძეულის გლეხთა განცხადება კანონის შესრულების შესახებ ფრიად სამართლიანად და საყურადღებოდ უნდა ჩავთვალოთ. ისინი არა თუ წინააღმდეგი არიან საბჭოთა კანონებისა, არამედ თვითონვე მოითხოვენ მის სისწორით შესრულებას. მისი შემსრულებელი კი ადგილობრივად ვერ მისულან ჯერ ამ აზრამდე. ეს მოვლენა არ არის მარტო პატარძეულში. ასეთი ხშირია ჩვენ პროვინციაში, კიდევ უარესი მივარდნილ ადგილებში. (პატარძეული ჩვენი ცხვირის წინ არის). ყველაფერი ეს კი საბჭოთა ძალაუფლებას სახელს უტეხს, სოფლების თვალში, რომლებიც თვით მოითხოვენ „კანონების ფარგლებს“ *.

ხ. გოდაბრელიძე.

---

*) ჩვენ მივაქცევთ სათანადო უწყებათა ყურადღებას ზემო მოყვანილ ფაქტებზე, მათ გამოსაძიებლათ და საჭირო ზომების მისაღებათ.

რედ.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია გერმანიაში

ბერლინი. ბერლინში დამთავრდა გერმანიის ყველა ოლქების ფაბრიკა-ქარხნების, ყველა პოლიტიკურ მუშათა პარტიების, უპარტიო პროფკავშირების დელეგატების და ბერლინის წარმოებითი საბჭოების წარმომადგენელთა კონფერენციის პლენარული სხდომა.

კონფერენციის მიზანს შეადგენდა საერთო პოლიტიკურ ამნისტიის და სიძვირის საკითხების შესახებ მოთხოვნათა განხილვა და ჩამოყალიბება. კომუნისტმა რემმელემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ აჯანყებები, რომლებსაც ამ ჟამად ადგილი აქვს, წარმოადგენენ სიმპტომს, ნიშანს დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობისას. ყველა რწმუნდება, რომ არც პარლამენტს, არც ადგილობრივ გამოსვლებს არ შეუძლიათ დასძლიონ ეხლანდელი სიძნელენი.

დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის სახელით როზენფელდმა განაცხადა სრული მზად ყოფნა, ხელი შეუწყონ პროლეტარიატის განსათავისუფლებლად—მთლიანი ფრონტის განხორციელებას.

მემარჯვენე პრესა მუშების კონფერენციის შესახებ დიდ წერილებს ათავსებს. რეაქციონური „ტეგლიხე რუნდშაუ“ სწერს: „ბერლინის წარმოებითი კავშირების ფრიად მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა გამოსვლამ უნდა მიიპყროს საერთო ყურადღება. ასეთი პოლიტიკური რადიკალიზმი ჯერ არასოდეს არ გამოუჩენიათ ასეთი სოლიდარობით ყველა სამივე მიმართულების სოციალისტებს“. გაზეთი ცდილობს პროვოკაცია გასწიოს და დაამტკიცოს, რომ წარმოებითი საბჭოების ყველა მოქმედებანი მიმართულია კონსტიტუციის წინააღმდეგ.

რუსეთის საბჭოთა მე-9-ე ყრილობა

ამხ. ტროცკის სიტყვა

მოსკოვი. 28 დეკემბერი. (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია)... არაფერი ამის მსგავსი: ბანდებს რკინის გზამდე არ მიუღწევიათ. რაც შეეხება „საყოველთაო აჯანყებას“, არავითარ ადგილობრივი აჯანყებებს ადგილი არ ჰქონია. იქ იყვნენ მხოლოდ ფინეთის თეთრგვარდიელი ბანდები, რომელნიც შეიჭრნენ ფინეთის საზღვრებიდან. ეს თავდასხმა მოწყობილი იყო ფინეთში ჩამოსულ სავინკოვთან შეთანხმებით, თეთრგვარდიელ ევროპის დავალებით. ამ „დემოკრატიულ“ ევროპას უნდოდა ძალით შეეცვალა კორელიაში არსებული საბჭოთა წყობილება თავის აგენტის ფინეთის მთავრობის საშუალებით.

რაც შეეხება იაპონიის მთავრობას, მასთან სხვანაირად ილაპარაკებენ ხაბაროვსკთან მყოფი ჩვენი წითელი ნაწილები და წითელი პარტიზანები. მაგრამ ეს ლაპარაკი იწარმოებს უკვე არა ანტანტის დიპლომატიური ენით. ჩვენი მთავარსარდალი ეხლა კორელიაშია. ის გვატყობინებს, რომ 46 თემიდან 26 სავსებით საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, 6 თემში განწყობილება არ არის გამორკვეული, ხოლო 7 „თეთრ-გვარდიელთა“ თემში სავსებით ხელს უწყობენ წითელ ნაწილებს. არიან ფინეთის მთელი ბანდები, რომელიც ფინურ ენაზე ლაპარაკობენ. ისინი შემოსილნი არიან ფინეთის საზღვაო უწყების ტანისამოსით. ბანდები იკვრიან ფინეთის ქარხნებში დამზადებულ ტყვიებს. ამასთან ერთად ფინეთის შოვინისტური პრესა მოსთქვამს, რომ რუსეთი წარმოადგენს „აუტანელ მეზობლობას“. რას გვიბრძანებთ [illegible], გელსინგფორსის ბატონებო?! ამბობს ამხ. ტროცკი. ხომ არ გვიბრძანებთ გადავიტანოთ ჩვენი ქვეყანა სხვა ადგილას? არა, ჩვენ იქ ვცხოვრობთ სადაც ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ! ზედმეტია ლაპარაკი რამდენად გულწრფელად გვსურს ჩვენ მშვიდობიანობა. მაგრამ ჩვენ ძალიან ვურჩევთ ფინეთის მთავრობას, არ გამოყონ [illegible] და ხე-

ლები საბჭოთა რუსეთის ხაზს აქეთ, თორემ ისინი მოკვეთილნი იქნებიან. ფინეთის არმიის სარდლებს არ ურჩევთ ზომონ გზები გელსინგფორსიდან პეტერამდე, მიტომ რომ შეიძლება გაცილებით უფრო მოკლე აღმოჩნდეს გზა პეტროგრადიდან გელსინგფორსამდე. ჩვენ არ გვჭირია, იმის განცხადება, რომ არ გვსურს რაიმე და რისმე დაპყრობა. საჭირო გონების უდიდესი სიჩლუნგე ევროპიელ გაზეთების, მინისტრების და მოლაყბეების, რომ ამტკიცონ, თითქო ჩვენ გვსურს [illegible]ხმა. ეს სიცრუე და ცილის[illegible]ბაა“.

[illegible]ფინება ელექტროფიკაციის შესახებ.

[illegible] საწყისი არ მიგვყვდით: ამ ყრილობის სრულებით არ ემჩნეოდა [illegible]ლობა. პირიქით მდგომარეობის [illegible]რთულე იწვევდა ბრძოლის სურ[illegible]ა თვით სიმშილი სამეცნიერო [illegible]რ აზროვნების მოღვაწეთა[illegible] მუშაობის სტიმულს წარმოად[illegible] ამ ყრილობის მუშაობაში [illegible] დაინახავთ ინჟინრების მრავალ საინტერესო პროექტებს. ელექტროფიკაციის გამოყენება სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის და მრეწველობის განვითარება მთელ მსოფლიოში მოითხოვენ სათბობ მასალის უამრავ რაოდენობას. საჭიროა მისი გამოზოგვა. მეცნიერებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ სითბო-ტეხნიკის და ელექტრო-ტეხნიკის შეერთებული მუშაობა გადასწყვეტს ამ ამოცანას საერთო მასშტაბით. ყრილობაზე მოახდინეს აპარატების დემონსტრაცია, რომელნიც აღნიშნავენ წამის მეათიათასე ნაწილს. ელექტრობა მალე გააფართოვებს ჩვენ თვალთახედვას და აქ ეკრანზე ჩვენ დავინახავთ, თუ რა ხდება თვით შორეულ განაპირებშიც. მეცნიერება გვიუბნება, რომ მტვერის რომელიმე უმნიშვნელო გრამში არის ენერგია, რომელიც უდრის 150.000 კაცის მუშაობას მთელი წლის განმავლობაში მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოება სჩადის იმას, რომ მაშინ, როცა ერთ ქვეყანაში ხალხი ასიათასობით იღუპება სიმშილისაგან, სხვა ქვეყნებში სწვავენ პურს ორთქლმავლების ფეჩებში.

ყრილობის შრომებში დაბეჭდილია მოხსენება ცნობილი მეცნიერ ლებედინსკისა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების ფორმები კარნახობენ და წინასწარ საზღვრავენ თვით ტეხნიკის ფორმებს: ისინი მოითხოვენ, რომ დედამიწა მთლიანი იყოს. მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ პროლეტარულ რევოლიუციის გარეშე მთელს მსოფლიოში ეს მთლიანობა არ იქნება. ელექტრო ტეხნიკის ყრილობაზე უმრავლესობა მონაწილეთა იყვნენ უპარტიონი და მათ, სამეცნიერო ტეხნიკურ აზრის წარმომადგენლებმა, [illegible]ღონეს ელექტროფიკაციის ჩვენი [illegible]მათ სწორად სცნეს სახელმწიფო—[illegible] მეურნეობის სქემა.

ელექტროფიკაციის დეკრეტის პროექტი.

ამხ. კრჟიჟანოვსკი აცნობს ყრილობას ელექტროფიკაციის შესახებ დეკრეტის პროექტს, რომელიც წარედგინა ყრილობას დასამტკიცებლად. დეკრეტი ითვალისწინებს 30 ელექტრონის სადგურის აშენებას, 1,5 მილ. კილოვატ-ის საერთო ძალით. მუშაობის შესრულების ვადა—15 წელიწადია, სასოფლო მეურნეობის განვითარების საერთო მსვლელობაზე დამოკიდებით. სადგურის აშენების დროს უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ადგილობრივი ინტერესები. შეძლებისდაგვარად თანდათან უნდა მოხდეს რკინის გზების და წყალის მაგისტრალის ელექტროფიკაცია. გზათა კომისარიატი დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას. დიდი სადგურების აშენება რჩება სახელმწიფოს ხელში, ვინაიდან ელექტრობა წარმოადგენს გაერთიანებულ მრეწველობის საფუძველს. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს ელექტრობის გამოყენებას სასოფლო მეურნეობის და საშინაო წვრილ წარმოების საჭიროებათათვის. აქ ფართე გასაქანი ეძლევა ადგილობრივი თაოსნობას, რომელსაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სახელმწიფო. სამხედრო მრეწველობისათვის არსებულ სამხედრო საბჭოს მსგავსად უნდა შეიქმნეს ელექტრონის მრეწველობის საბჭო და მას უნდა მიეცეს უფლებები არანაკლებ, ვინემ სათბობის მთავარ ორგანოს. ჩვენ დაგვჭირდება მრავალი განსწავლილი და ტეხნიკური პერსონალი, უმთავრესად უბრალო ტეხნიკოსები, და არა უმაღლესი: მაშასადამე, საჭიროა ტეხნიკოსები,—ესაა პროფტეხნიკურ განათლების მთავარ მმართველობის საქმე. საზღვარ-გარედ ოცნებობენ გამოიყენონ ჩვენი მძიმე მდგომარეობა, უნდათ მოგვცენ კრედიტი, აღმოგვიჩინონ დახმარება, აღადგინონ ტრანსპორტი, მაგრამ ელექტროფიკაციაზე იქ არაფერს ამბობენ. ამ პროექტის დამტკიცებით თქვენ დაამოწმებთ, რომ ჩვენ დაბეჯითებით მივდივართ წინ, ცხადყოფთ, რომ არ დავნებდებით მტერს, ავიტანთ ყოველგვარ გასაჭირს და გავიმარჯვებთ.

ყრილობის ფინანსიური კომისიის რეზოლუცია

ამხ. კრესტინსკი მოახსენებს ყრილობას ფინანსიური კომისიის რეზოლუციას ბიუჯეტის შესახებ:

„ყრილობა საჭიროდ თვლის ფულის ვალიუტის დაწევებას და [illegible] ქაღალდის ფულის გამოშვების შეზღუდვას. ყრილობას სწორად მიაჩნია მტკიცე ბიუჯეტის გამოანგარიშება ოქროს მონეტებით. ამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს და აძლევს ც. აღმ. კომიტეტს უფლებას ცვლილებების შეტანისას. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივი ბიუჯეტების შექმნა გადასახადის გადახდევინების საფუძველზე ადგილობრივი წარმოებებიდან. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია სავსებით განხორციელებულ იქნას საგადასახადო გეგმა, როგორც ნამდვილი საშუალება ემისიის შესამცირებლად. ყრილობა იწონებს სახელმწიფო ბანკის მოქმედებას და საჭიროდ თვლის სახელმწიფო ბანკში სამუშაო ხელფასის მკვიდრი ფონდის შექმნას მთავარ წარმოებების მუშების უზრუნველსაყოფად.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია 1922 წლისათვის გაადიდოს ხარჯები მრეწველობის, მიწათმოქმედების და კულტურულ აღმშენებლობის სფეროში, სახელმწიფო აპარატის შესავალ-გასავალის შემცირების ხარჯზე, ამასთან სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებანი უნდა იქნეს სავსებით უზრუნველყოფილი. ყრილობა ავალებს ფინანსების სახ. კომისარიატს დააწესოს ერთი მთლიანი გადასახადი დამშეულთა სასარგებლოდ ქაღალდის ფულით 500 მილიარდი მანეთის ან ოქროთი 6 მილიონი მანეთის რაოდენობით; გაუდიდეს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს ასიგნობა 3 მილ. ოქროს მანეთით სასოფლო-მეურნეობის აღსადგენად დამშეულ გუბერნიებში. მიეცეს იმავე კომისარიატს ნავარაუდევ სატყეო შემოსავლის ნახევარი 10 მილ. ოქროს მანეთის რაოდენობით.

ც. აღმ. კომიტეტის არჩევნები.

ამხ. ენუქიძე აკეთებს მოხსენებას ც. აღმ. კ. არჩევნების შესახებ. გადაწყვეტილია გააფართოვონ ახალი ც. ა. კ. შემადგენლობა. განვლილი მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ სესიების მუშაობას თანდათან უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. სურვილი ადგილებთან კავშირის გაძლიერებისა გვაიძულებს შევავსოთ ც. ა. კ. ახალი შემადგენლობა ადგილობრივი მუშაკების უფრო მეტი რიცხვით, რომელნიც შეადგენენ 50 პროცენტამდე, აგრეთვე უნდა მიეცეთ ადგილი ყრილობის უპარტიო, უმთავრესად, გლეხ-დელეგატებს. სულ ც. ა. კ. წევრები არის 386 და კანდიდატები 125.

ც. ა. კ. წევრების და კანდიდატების აღნიშნულ სიას მთლიანად უყრიან კენჭს და იღებენ.

ყრილობის დახურვა.

ამხ. კალინინი მიმართავს ყრილობას მოკლე სიტყვით:

მე 9 ყრილობა განირჩეოდა დელეგატების განსაკუთრებული სოლიდარობით და სურვილით ყოველი საკითხი განეხილად არსებითად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწის საკითხს, რომელიც ხდება ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედი. ყრილობის მიერ გამოჩენილ მთლიანობას და სოლიდარობას გავლენა ექნება ჩვენს მუშათა მასსაზე.

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ვაშინგტონის კონფერენცია

ჩინეთის საკითხი.

ბერლინი. 27 დეკ. (რადიო). უკანასკნელ დღეების განმავლობაში, ვაშინგტონის კონფერენციის სხდომაზე, ჩინეთის დელეგატებმა რამდენიმეჯერ გამოსთქვეს აზრი ჩინეთის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ჩინეთს ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენათ ესაჭიროება უცხო ქვეყნის კაპიტალი. ჩინეთის მთავრობა ილტვის [illegible], რომ რათაც არ უნდა დაუჯდეს გარანტიები შემციროს, რომლებსაც მოითხოვს ევროპიული [illegible]. ამერიკული პრესსა ამის შესახებ აღნიშნავს, რომ ევროპის ბანკები წინანდელ გამოცდილებით იძულებულნი არიან მოსთხოვონ ჩინეთს ფრიად სერიოზული გარანტიები.

ჩინეთმა უნდა გაიგოს რომ უცხოელთა დაუხმარებლივ, იგი თანდათან იაპონიის მონობაში ჩავარდება. ამასთანავე ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ იაპონიის პრეტენზიები ჩრდილო ჩინეთზე მონგოლიაზე არც ისე დაქვეითებითია. მას შემდეგ, რაც იაპონია შევიდა კონსორციუმის შემადგენლობაში და მიიღო მისი პროგრამა, თვით კითხვა კონსორციუმზე ამჟამად აყენებს საკითხს მეკობრულ პოლიტიკისას ჩინეთის მიმართ, რადგანაც გაერთიანების ყველა მონაწილენი სარგებლობენ თანასწორ უფლებით, რაც იაპონიისთვის არაა ხელსაყრელი და ხელსაყრელია ჩინეთისთვის. ჩინეთის მთავრობას უნდა მიეღო ყველა ზომები, ამერიკულ პრესის აზრით, კონსორციუმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და წარედგინა საჭირო გარანტიები. იმისთვის, რომ არასასურველი შედეგები თავიდან აეცდინა.

ჩინეთის ზოგიერთი დიპლომატები ფიქრობენ, რომ ახალი წესი უფრო მისაღებია ჩინეთის საქმეში წინანდელ ჩარევასთან შედარებით, ყოფელ კარგ და ცუდ პირობებში. საფრანგეთის პრესა ეთანხმება ამ თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ ჩინეთის მდგომარეობა საერთოდ, როგორც პოლიტიკური ისე ფინანსიური მეტად რთულია.

ამერიკა

ჟურნალისტის ამნისტია.

რომი, 28 დეკემ. იტალიის ელჩმა, ამერიკაში როლანდო რიჩჩიმ მიმართა გარდინგს თხოვნით, რომ იტალიის ჟურნალისტს—სოციალისტს, ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მკაცრ წერილის გამო დასჯილს, ეპატიოს დანაშაული.

საბჭოთა რუსეთი და გერმანია.

რუსეთის დამხმარე კონფერენცია

პარიზი, 10 დეკემბერი. „ტანი“ იუწყება: ბერლინიდან იტყობინებიან, რომ მაქსიმ გორკის ინიციატივით ბერლინში ახლო დღეებში იხსნება რუსეთის დამხმარე საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მომწვევ ინიციატორთა ჯგუფში მაქსიმ გორკის გარდა შედიან ანრი ბარბიუსი და ნანსენი.

რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება.

ბერლინი, 12 დეკემბერი. გერმანიის ახალმა წარმომადგენელმა ლატვიაში დოქტორმა ვალროტიმ „ნოვი მირის“ კორესპონდენტს განუცხადა: „ამჟამად გერმანია სერიოზულადაა დაინტერესებული რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარებაში. გერმანიას აახლოვებს საბჭოთა რუსეთთან ის, რომ ორივე სახელმწიფო გამოდიან თავის ხალხების კეთილდღეობიდან და რომ ორივე სახელმწიფოს პოლიტიკა ატარებს ეკონომიურ ხასიათს. გერმანია და რუსეთი უკანასკნელ ომის განმავლობაში ყველაზე უფრო დაზარალდენ და თავის აღსადგენათ ისინი უნდა დაეხმარონ ერთმანეთს. გერმანია მზადაა დაეხმაროს რუსეთს ყოველგვარ კოლონისტური და [illegible] მისწრაფებების გარეშე. მე მთელი ძალღონით ვეცდები გერმანიის დაახლოვებას რუსეთთან, რადგანაც ეს დაახლოვება ხელს შეუწყობს და გაამტკიცებს ორივე სახელმწიფოს მდგომარეობას.

რუსეთის აღდგენა.

მოსკოვი, 28 დეკემბერი. (რადიო). სტინესის ორგანო „ლოკალ ანცეიგერ“ იტყობინება ახალი ძალიან დიდ კრედიტების პროექტს შესახებ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების აღსადგენად. ბერლინში დაარსებულმა აღმოსავლეთთან ვაჭრობა-მრეწველობის ურთიერთობის გამაძლიერებელ ეკონომიურმა ბიურომ მოლაპარაკება გამართა ამერიკის ბანკების გავლენიან ჯგუფთან გერმანიის ბანკებისათვის 250 მილიონი დოლარი სესხის მიცემის შესახებ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების აღსადგენად. ეკონომიური ბიუროს დირექტორმა ინჟინერმა მიულერმა განაცხადა, რომ ამერიკის სესხები გამოყენებული იქნებიან არა გერმანიის ვალების გადასახდელად, არამედ ევროპის ეკონომიური ნამდვილი აღდგენისათვის. მიულერის განცხადებით ამჟამად უსარგებლო დიპლომატიურ კონფერენციის მაგივრად გერმანიას დარჩა მხოლოდ ერთი სწორი გზა, ეს ის გზაა, რომელზედაც შესდგა ეკონომიური ბიურო. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საქმიან ტრესტს, რომელსაც ეკუთვნის როგორც გერმანიის კაპიტალის წარმომადგენლები ისე თავისუფალ და სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ბიურო ახლო მომავალში გაგზავნის ექსპერტებს განსაკუთრებულ ეკონომიური პოლიტიკურ ხელშეკრულების დასადებათ. ამერიკის სესხი გამოყენებული იქნება განსაკუთრებით რუსეთის რკინის გზების და მაღაროების აღსადგენად. მოცემულ კრედიტების გარანტიას იღებს თავის თავზე ბიუროს თანამშრომელი გერმანიის სამრეწველო საზოგადოებები საბჭოს მთავრობის თავდებით.

საბჭოთა რუსეთი და ანტანტა

რუსეთის აღდგენა.

ლონდონი 27 დეკემბერი (რადიო). ლოიდ ჯორჯს კაბინეტში გამგზავრების წინ ჰქონდა რამოდენიმე თათბირი ფინანსიურ მოღვაწეებთან, ზომების შესახებ რუსეთის ეკონომიურად აღსადგენად. წამოყენებულია პროექტი საერთაშორისო ინგლის-საფრანგეთი-იტალია-გერმანია-რუსეთის ბანკის დაარსებისა რუსეთისათვის სუბსიდიის მისაცემად.

უარყოფენ.

პარიზი 27 დეკემბერი (რადიო). გავასის სააგენტო იტყობინება, რომ სიმართლეს მოკლებულია ევროპის პრესაში გავრცელებული ცნობები კრასინის მოსალოდნელ მოლაპარაკების შესახებ საფრანგეთის მთავრობასთან, რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ამერიკის პრესა რუსეთის შესახებ.

ლონდონი 11 დეკემბერი. ამერიკის პრესა აღნიშნავს რუსეთის ეკონომიურ პოლიტიკის სერიოზულ გარდატეხას, ამასთან გზა-გზა ეხება ომამდე ადებულ ვალების გადახდის საკითხს. გაზეთები წერენ: „რუსეთთან მოსული ცნობები ადასტურებენ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა თავისი პოლიტიკის საგრძნობლად შეცვლა. რუსეთი ეძებს საერთაშორისო კრედიტს და კერძოდ ამერიკის იმედი აქვს. ეს გარემოება ბუნებრივად აინტერესებს ამერიკას ფინანსიურ ჯგუფებს. პოლიტიკურ ამბების დამოუკიდებლად, ამერიკა ეკონომიური თვალსაზრისით დაინტერესებულია რუსეთთან კავშირის აღდგენის საკითხის განხილვაში; ვინაიდან შესაძლებელი იყო გადაეგზავნა რუსეთში ის ზედმეტი საქონელი, რომელიც საშუალებას არ აძლევს ამერიკის მრეწველობას თავის მრეწველობის განვითარებისას. თუ მართლაც რუსეთს ესაჭიროება ამერიკის კრედიტი და მატერიალური დახმარება იმისათვის, რათა შეუდგეს საშინაო აღმშენებლობას, დეე ამის შესახებ განაცხადოს რუსეთის მთავრობამ გულ ახდილად და გულწრფელად. ამერიკა ამ დახმარებაზე უარს არ ეტყვის თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ არის ამაში დაინტერესებული, მაგრამ დეე ამასთან უარყოფილ იქნეს ტენდენციური იდეები, რომელნიც შექმნილია უფრო იმიტომ, რათა დააკმაყოფილოს პარტიული თავმოყვარეობა, ვინემ ხელი შეუწყოს ქვეყნის აღორძინებას.

რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო პოლიტიკა.

მოსკოვი. 26 დეკემბერი, (რადიო) ინგლისურ ენაზე. ამხ. სტეკლოვი „უწყებებში“ საგანგებო წერილს უძღვნის საფრანგეთის პრესის აზრს რუსეთის შესახებ. ამხ. სტეკლოვი წერს: „დახმარებას ჩვენ არ აღმოგვიჩენს არც საფრანგეთი, არც ინგლისი, რადგან მათ წინასწარ იციან ამ დახმარების უსარგებლობა არსებულ პირობებში. მთავარი გარანტია, რომელიც შეგვიძლია მივცეთ ჩვენს კრედიტორებს,—ესაა ჩვენი მხურვალე სურვილი, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება, აღვადგინოთ რ. ს. ფ. ს. რ. ეკონომიური ცხოვრება უკეთესი გარანტიის გამოგონება შეუძლებელია. ხოლო თუ გარანტიის სახით ევროპის კაპიტალისტებს სურთ ხელი დაადვან ჩვენი სიმდიდრის წყაროს ჩვენი მხრივ შეხვდებიან კატეგორიულ უარს“. შემდეგ ამხ. სტეკლოვი გამოსთქვამს შიშს, რომ თვით მომავალი შეთანხმების შესაძლებლობა ანტანტისა რუსეთთან შეიქმნება აგრესიულ მოქმედების მოტივად. პოლონეთის, რუმინიის, ფინეთის და იაპონიის მხრით, რომელნიც მოისურვებენ კიდევ და უკანასკნელათ სცადონ. ბედი საბოლოო ზავის დადებამდე. შეგვიძლია [illegible], რომ ამ მოქმედებებს მხარს დაუჭერენ ინგლის, საფრანგეთის და სხვების ზოგიერთი წრეები რომელნიც მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. საბჭოთა რესპუბლიკები ამისათვის მზად არიან და ყოველთვის ექნებათ საკმაო ძალა მშვიდობიანობის დასაცავად და იმისთვის, რომ დროზე მოიგერიონ თავდასხმა, საიდანაც იგი არ უნდა გამომდინარეობდეს“.

ჩვენი კომუნალური მეურნეობა

ქალაქის მიწები

ქალაქს აქვს თავის ადმინისტრატიულ საზღვრებში 4,100 დესეტინა მიწა, აქედან:

1. დასახლებული ადგილები 1776 დესეტინა.

2, ბაღები და ბოსტნები 408,5 დესეტინა.

2, თავისუფალი მიწები 1644 დესეტინა.

4. საზოგადო სახმარებელი (ბაღები, ბაღჩები, ტყეები) და აგრეთვე უვარგისი მიწები 2715 დესეტინა.

მიწის განყოფილების სამიჯნო სექცია ამ ჟამად ადგენს პლანს ქალაქის გარეთ მდებარე ახალ ზონისას, რომელიც ფართოვდება 5 ვერსით ქალაქის ადმინისტრატიული წრის გარშემო. თუ ეს საკითხი გადაიჭრება დამაკმაყოფილებლად ქალაქზე გადავლენ დიღმის და დღლისის კარგი სახნავი მიწები და აგრეთვე ტყის საკმაო ნაწილი. ქალაქის საერთო სივრცე დიდდება 19 ათასი დესეტინამდი.

თბილისის საქალაქო მიწებს განაგებს კომუნალურ განყოფილების მიწების და მეურნეობის ქვეგანყოფილება.

საქართველოში საბჭოთა სისტემის დამყარების პირველ ხანებში შეუძლებელი იყო იმ სადგილ მამულო ურთიერთობის დაშლა, რომელიც არსებობდა ერთი მხრივ ქალაქის ყოფილ თვით მართველობისა და დროებითი მეპატრონეებს შორის, და მეორე მხრივ საქალაქო ხაზს შიგნით მდებარე მიწის ფონდის მეპატრონეებში. ეს დაშლა არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ სახნავი მიწები, ბაღები და ბოსტნები უკვე დათესილი და დამუშავებული იყვნენ. ამ მომენტში სადგილ-მამულო ურთიერთობის დარღვევა იქნებოდა მთელი მოსავლის დაღუპვა, მით მეტ კულტურული ბაღების და ადგილების მოსპობა და დატაცება, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებდა ერთბაშად აეღო თავის ხელში მეტად რთული მიწის მეურნეობა.

აქამდი არსებული მიწის კომუნალურ პოლიტიკის ძირიანად შესაცვლელად ერთად ერთი საუკეთესო დროა შემოდგომა როდესაც მოსავალი მთლიანად აღებულია და იწყება სამზადისი მუშაობა ახალ სასოფლო-სამეურნეო სეზონის დასაწყებად.

მაგრამ არსებულ სადგილ-მამულო ურთიერთობის სავსებით ხელშეუხლებელი დატოვება საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო. მისი ჩარევა გამოიხატა სასურსათო გადასახადის შეწერით იმ მიწებზე, რომლებიც დამუშავებული იყვნენ სხვა და სხვა კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ—მოეწყო მფრინავი რაზმები მინდვრების დასათვალიერებლად და მოსავლის პატრონების გამოსარკვევად. ამ რაზმების ცნობებით ავლაბრის და ორხევის აგარაკებში დახნეს და დათესეს 2055 დესიატინა, ჩუღურეთის და კუკიის აგარაკებში—1045 დესიატინა და საბურთალოში 20 დესიატინა.

ეს მუშაობა დასრულებული იყო ქალაქის რევკომის მუშაობის პირველ პერიოდში ე. ი. ივნისამდი. უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო გადასახადის ორგანიზაცია ქალაქის რევკომმა მაშინ დაიწყო, როდესაც კიდევ არ იყო სასურსათო გადასახადის კანონი გამოცემული მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

მეორე პერიოდში, ე. ი. დაწყებული ივნისის ბოლო რიცხვებიდან მიწის და სამეურნეო განყოფილებამ დაიწყო აღნიშნულ მიწებიდან სასურსათო გადასახადის აკრეფა და ამავე დროს მოაწყო მფრინავი რაზმები ბაღების და ბოსტნების ასაწერად.

ავლაბრის და ორხევის აგარაკებში სასურსათო გადასახი გროვდება ნატურით—მოსავლის ერთი მეათედი.

გამოყვეს პურის კონების მეათედი და გალეწეს როსტომოვის კალოზე. მივიღეთ 460 ფ. 34 გირ. ხორბალი, 406 ფ. 13 გირ. ქერი და 710 ფუთი ბზე. ჩუღურეთის და კუკიის აგარაკებიდან და აგრეთვე საბურთალოდან სასურსათო გადასახადი იკრიბებოდა 5 ფუთი თითო დესეტინიდან. პირველმა ორმა აგარაკმა ქალაქს მისცა 256 ფ. 37 გირ. ხორბალი და 178 ფ. 28 გირ. ქერი; საბურთალომ—9 ფ. 20 გირ. ხორბალი და 82 ფ. 2 გირ. ქერი.

მეორე პერიოდის ბოლოში (აგვისტოს შუა რიცხვებში) დასრულდა ბაღების და ბოსტნების აღწერა. სულ აიწერა 218 ბაღი და ბოსტანი, სივრცით 218 დესეტინა და 975 კვად. საჟენი.

მესამე პერიოდში—აგვისტოს შუა რიცხვებიდან დღემდე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

დაიწყო მოსავლისაგან განთავისუფლებული მიწების ხელახლა იჯარით გაცემა კერძო პირებზე და ორგანიზაციებზე დასამუშავებლად ახალ პირობებში: მოიჯარადრეებს უნდა ჩაებარებიათ ქალაქისათვის მოსავლის ერთი მეხუთედი ნატურით. ავლაბრის და ორხევის აგარაკებში გაცემულია დასახნავად 2605 დესეტინა მიწა; ჩუღურეთის და კუკიის აგარაკებში გაცემულია 133 დესეტინა მიწა. საბურთალოში—600 კვად. საჟენი. მიწის იჯარით დასახნავათ გაცემა გრძელდება დღემდი.

ამავე პერიოდში სისტემაში იქნა მოყვანილი ბაღების და ბოსტნების სია და გამოიანგარიშეს სასურსათო გადასახადის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაეხადათ თვითოეულ ადგილას.

ბაღებიდან და ბოსტნებიდან შემოსული მთელი სასურსათო გადასახადი შეადგენს ფულად 238,584,800 მან., მაგრამ ის გადაიხადეს ნატურით, ე. ი. ხილით, ბოსტნეულით. ამ გადასახადის ორი-მესამედი უკვე მოკრებილია და ამ ჟამად აგროვებენ დანარჩენს.

ამავე, მესამე პერიოდში მიწის და სამეურნეო განყოფილებამ დაიწყო კომუნალურ მიწებზე მობალახე საქონლის პატრონების სიების შედგენა მათზე ნატურალურ გადასახადის დასადებად. ეს სიები უკვე დასრულებულია.

და ბოლოს მიწის და მეურნეობის ქვე განყოფილებამ დაიწყო საკუთარი მეურნეობის ორგანიზაციის მოწყობა. ამისთვის მან აიღო თავის გამგებლობაში სიხარულიძის ყოფილი ბაღი და საბურთალო. განყოფილებამ შეიძინა 4 კამეჩი. დახნულია ამ ბაღის ნაწილი სივრცით 4 ნახ. დესეტინა. დამუშავდება აგრეთვე კუკიის და ავლაბრის აგარაკების 40 დესეტინა მიწა.

მეორე საკუთარი მეურნეობა განზრახულია დაარსდეს ორთაჭალაში მანთაშევის ყოფილ მამულში; აქ უნდა მოეწყოს ხეხილის სანერგე, ფრინველების, თხების, ცხვრების, კურდღლების, ფუტკრების, აბრეშუმის და სხ. რაციონალური მოშენება.

ამ ჟამად მიწის განყოფილებაში სწარმოებს ბაღების და ბოსტნების გადასაცემი მუშაობა პროფკავშირებზე, რომლებსაც მიეცათ ავლაბრის აგარაკში 830 დეს. სახნავი მიწა; ავლაბარში, ელიზბარის წყაროსთან გადაეცა კომუნალურ მეურნეობას 100 დეს. მიწა საკუთარ ბოსტნის მოსაწყობად; აგრეთვე მიეცა კავკასიის ცალკე არმიას 1535 დეს. მიწა ბოსტნის გასაშენებლად და დასახნავად.

ამ დღეებში მივიღეთ ბორჩალოდან 460 ფ. კართოფილი, 215 ფუთ. სიმინდი და აგრეთვე ზოგიერთი სასოფლო სამეურნეო იარაღები. ეს პროდუქტები შეკრებილია საბოსტნო კომისიის მიერ დამუშავებულ მამულში. ამ ჟამად ეს კომისია გაუქმებულია.

ქრონიკა

◆ **პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.** პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საორგანიზაციო ბიურო იწვევს ასოციაციის წევრთა საერთო კრებას დღეს, შაბათს, 31 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ხელოვნების სასახლე № 13, სერგეევის ქ.). დასწრება აუცილებელია შემდეგი ამხანაგ პროლეტარულ პოეტებისა და მწერლების: სანდრო ეული, სილ. თოდრია, რაჟდენ კალძე, ტ. ც ნიძე, გოგიტო ციმბირელი, სამსონიძე, იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი, სევასტი თალაკვაძე, გარსევანიშვილი, შინატეხელი, ევგენი სიდოშვილი, პეტროზა. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

◆ **თბილისის კალენდარი.** უკვე გამოვიდა თბილისის კალენდარი, რომელიც შეადგინა და გამოსცა ქალ. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სტატისტიკურმა განყოფილებამ. კალენდარში შემდეგი თავებია: 1) თვეები, 2 მზის დაბნელება, 3) უქმეები, 4) ქრონოლოგიური (ცნობები რუსეთის რევოლიუციის აღსანიშნავი დღეების, 5) საქართველოს რევკომის დეკრეტები, 6) საათის ისარი სხვადასხვა ქვეყნებში, 7) მზის ამოსვლა და ჩასვლა თბილისში, 8 საშუალო მეტეოროლოგიური ელემენტები, 9) უცხო ქვეყნების ფული, 10) წონა და ზომა, 11) მოკლე მიმოხილვა თბილისის, 12) თბილისის ბიუჯეტი, 13) თბილისის მცხოვრებთა რიცხვი, 14 ფაბრიკების და ქარხნების წარმოებანი თბილისში, 15) სახელოსნოები თბილისში, 16) თბილისის გამოკვების საკითხი პირველ მოთხოვნილების საგნებით, 17) ვაჭრობა-მრეწველობა თბილისში, 18 სწავლა-განათლების საქმე, 19 სახალხო ჯანმრთელობა, 20) სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი თბილისში; მისამართი და ტელეფონის №№. თითო ნომერის ფასი არის 10,000 მან., ბითუმათ (არა ნაკლებ 20 ეგზემპლიარისა) გაიყიდება დაკლებულ ფასში 8.000 მ. თითო ეგზემპ. კალენდარის გამოსაწერათ მიმართეთ სტატისტიკური განყოფილების სამნეო ნაწილის გამგეს დილის 9 საათ. 3 საათ. სტატისტიკურ განყოფილებაში. (შტაბის ქ. № 2, ზევითი სართული).

◆ **ხელოვანთა კავშირი.** მოხდა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია. ახალ კომიტეტში შედიან ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელნი. კომიტეტმა აირჩია აღმასრულებელი ორგანო—პრეზიდიუმი: თავმჯდომარე: კ. მაყაშვილი, თავმ. მოადგილე: ტ ტაბიძე. ამხანაგი: აკ. ფაღავა. წევრები: ვ. რუხაძე და ვახტანგ კოტეტიშვილი.

◆ **პოეზიის და მუსიკის საღამო.** ორშაბათს, 2 იანვარს პოეტი გრ. ცეცხლაძე, კონსერვატორიის დარბაზში გამართავს საღამოს. შინაარსი: სიტყვები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე; ლექსთა თემა—გაფრინდაშვილი ვალერიან, გვეტაძე რაჟდენ, გოგოხია რაჟდ, იაშვილი პაოლო, კარმელი შალვა, ლეონიძე გიორგი, მიწიშვილი ნიკოლოზ, ნადირაძე კოლაუ, ტაბიძე ტიციან, ცეცხლაძე გრიგოლ; საკონცერტო განყოფილება—მოსკოვის დიდი სახელმწიფო თეატრის მსახიობის ვ. შარაშიძის და სახელმწიფო ოპერის მსახიობის ა. ინაშვილის მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

მადლობა საქართველოს განათლების კომისარიატს

სამარის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტისგან მიღებულია შემდეგი წერილი:

საქართველოდან დაბრუნებულმა, კავკასიაში მივლინებულმა წარმომადგენელმა ამხ. ქიქოძემ გაგვაცნო თავის მივლინების შედეგი და ის თანაგრძნობა და გულწრფელობა რომლითაც იქ შეხვდენ ჩვენგან დამშეულ ბავშვების მიღების, მოწყობის და უზრუნველყოფის საკითხს. ასეთი გულმხურვალე თანაგრძნობა ავალებს აღმასრულებელ კომიტეტს გადაგიხადოთ თქვენ თავისი ღრმა მადლობა. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ თქვენ გულწრფელი მადლობა ჩვენი უბედური ბავშვებისთვის გამოგზავნილ 14 ფუთი 30 გირვანქა შაქრისთვის, რომელიც რამდენადმე შეუმსუბუქებს მათ საცოდავ არსებობას და ვიმედოვნებთ რომ თქვენ მომავალშიაც გამოეხმაურებით ჩვენს მოწოდებას და ასეთსავე ბეჯით მონაწილეობას მიიღებთ ამხ. ქიქოძეზე დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებაში ვოლგის მხრის შიმშილისაგან შეწუხებულ ბავშვთა დაბინავებისა და კვების საქმეში“

ვოლგის მხრის დამშეულთა ბავშვები თბილისში.

ნავთლუღში მოვიდა პირველი მატარებელი ვოლგის მხრის დამშეულთა ბავშვებით, უფის გუბერნიიდან, რომელმაც ჩამოიყვანა 400 ბავშვი და 33 მათი მზრდელნი. მალე მოვა მეორე მატარებელი სამარის გუბ. ბავშვებით. ყველა ბავშვები შემდეგნაირათ იქნებიან განაწილებულნი: 300 ბავშვის სრულ შენახვას კისრულობს კავკასიის ცალკე ლაშქარი, 100 ბავშვი იქნება გაგზავნილი ბათუმის ლაშქრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში, 70 ბავშვი გაიგზავნება ერევანში.

თბილისში დარჩენილი ბავშვები მოთავსებულნი იქნებიან ვოლგის მხრის ბავშვთა დამხმარე კომიტეტის მიერ: 200 ბავშვი საბავშვო სახლში პლეხანოვის პროსპექტზე, სახლი № 636 ხოლო დანარჩენი მთელი რესპუბლიკის მაზრებში. ნავთლუღში მოსულ მატარებელს № 165 მოჰყავს 65 პროც. მუსულმანთა ბავშვები და უნდა დაეტოვებინა იგინი ადერბეჯანში. მაგრამ რადგან იქ მომზადებულნი არ იყვნენ ბავშვების მისაღებათ, ამიტომ მატარებელი მოვიდა საქართველოში.

საქართველოს შრომის განყოფილებების გამგეთა პირველი ყრილობა

(მეოთხე სხდომა, დეკემბრის 19, 1921 წ.)

მოხსენებები ადგილებიდან

ჭიათურა-საჩხერის რაიონი.

(ამხ. ლომინაძის მოხსენება).

ჭიათურა-საჩხერის რაიონის შრომის ინსპექცია დაარსდა ა. წ. 17 ივლისს, რომელსაც შემდეგში გამოეყო შრომის განყოფილება. იმ ხანებშივე, ინსტრუქტორების ჩამოსვლის შემდეგ, მასთან იქნა მოწყობილი საკორესპონდენტო პუნქტი მუშა ხელის აღრიცხვა—განაწილების ქ. განყოფილებისა, რომილმაც აღრიცხა ჭიათურაში მყოფი უმუშევრები და გასცა განკარგულება, რომლის ძალით ეკრძალებოდათ დაწესებულება-წარმოებებს მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა მის გარეშე, საერთოდ ჭიათურაში ნაკლებობაა მუშების, მაგრამ მაინც ინსპექცია ღებულობდა შესაფერ ზომებს მუშების შოვნისათვის, რათა წარმოებების მუშაობა არ შეფერხებულიყო.

ჭიათურა, მოგეხსენებათ, სამრეწველო ქვეყანაა, და, როგორც ასეთს, საჭიროა ყურადღება მიექცეს, მაგ., მუშებს არა აქვთ ბინები, არ არის დაცული სანიტარული მოთხოვნილებები; ამას ჩვენ ანგარიშს ვუწევდით და ზომებსაც ვღებულობდით. სასტიკ თვალყურს ვადევნებდით 8 საათის სამუშაო დღის გატარებას და მცირე-წლოვანთა მუშაობას. იყო შემთხვევები კონფლიქტების, მაგალითად, კერძო ფირმამ № მიატოვა წარმოება და მუშებსაც ანგარიში არ გაუსწორა, რის გამოც მუშები უკმაყოფილონი არიან. არ ვიცით ამ შემთხვევაში რა ზომები მივიღოთ. მუშაობაში დასახიჩრებულ მუშებისათვის არსებობს დამზღვევი კასსა, რომელიც მოქმედობს განყოფილების თაოსნობით.

ნათესავთა ერთად თანამშრომლობას და შრომის დეზერტირობას ადგილი არ ქონდა. შემოღებულია წარმოება - დაწესებულ ბებში მუშა-მოსამსახურეთა სავალდებულო სიები და ყოველთვიურ სასწრაფო აღრიცხვის ბარათები. აღრიცხული გვყავს შრომის უნარიანი და ტვირთ-საზიდ საშუალებანი.

ვექვემდებარებოდით ქუთაისის შრომის განყოფილებას; ჭიათურა საჩხერის შრომის განყოფილებას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

ახალციხის მაზრა.

(ამხ. ალავერდოვი).

ახალციხის შრომის განყოფილება დაარსდა ა. წ. 2 ივლისს. ჩაწერილ უმუშევართა რიცხვი უდრის 1800 კაცს, რომელთაც ვანაწილებდით მოთხოვნილებისამებრ. ამასთანავე შრომის განყოფილებამ აუწყა ყველა წარმოება-დაწესებულებებს, თუ კი მუშა-მოსამსახურე დასჭირდებოდათ, მიემართათ მხოლოდ მისთვის. ყველა წარმოება - დაწესებულებებში ჩვენი წინადადებით შედგენილი იქნა მუშა-მოსამსახურეთა სიები, ძირითადი პროფესიის ჩვენებით, და ჩვენთან გადმოგზავნილი. თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, მივმართეთ ყველა წარმოება-დაწესებულებებს, რათა შეედგინათ ყოველ-თვიურად „სასწრაფო აღრიცხვის ბარათი“, რაც შესრულებულია. განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ დაწესებულებებში და განსაკუთრებით, წარმოებებში მუშაობის პირობებს.

ახალციხის სამეულის მოთხოვნით განყოფილების მიერ გამოყვანილ იქნა ქალაქის ქუჩებში გასასუფთავებლად ადგილობრივი ვაჭრები. სხვა და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის, შრომის განყოფილებამ გამოაცხადა და კიდეც განახორციელა მობილიზაცია ინჟინრების, ტეხნიკების და კვალიფიციურ მუშებისა. სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობის სამუშაოდ მცხოვრებთა და ტვირთსაზიდავი საშუალებათა ბეგარათა გატარება განყოფილებას არ მოუხდენია.

მომავლისათვის სამეურნეო ორგანოთა მიერ შედგენილი გეგმით ამ დარგში დიდი მუშაობა მოუხდება.

თელავის მაზრა.

(ამხ. მაჩაიძე).

თელავის მაზრის შრომის განყოფილება დაარსდა ამა წლის 15 ოქტომბერს; ხოლო მის ფუნქციებს მანამ ასრულებდა ნაწილობრივ შრომის ინსპექცია. დაარსებისთანავე მივმართეთ მიწოდებით ერთი მხრივ უმუშევრებს განყოფილებაში ჩასაწერად, ხოლო მეორე მხრივ დამქირავებელთ, მუშა-მოსამსახურეთა განყოფილების გარეშე არმიღებისათვის, რაც სასტიკად დაცულია.

ბევრ დაწესებულებებში ჰქონდა ადგილი ნათესავთა ერთად თანამშრომლობას. განყოფილების მიერ მიღებულ ზომების შემდეგ ხსენებული მოვლენა აღმოფხვრილი იქნა. განყოფილება მკაცრ ზომებს ღებულობს იმ მუშა-მოსამსახურეთა წინააღმდეგ, რომლებიც გულ გრილად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობებს. სანამ განყოფილება შეუდგებოდა ბეგარათა გატარების საკითხებს, მანამ განყოფილების მიერ აღრიცხული იქნა მთელს მაზრაში შრომის უნარიანი მცხოვრებლები და ტვირთ-საზიდავი საშუალებები. მივმართეთ ყველა დაწესებულებებს, რომ ბეგარათა გატარებას თაოსნობს მხოლოდ შრომის განყოფილება. განყოფილების მუშაობა ბეგარათა გატარების დარგში შემდეგია: კახეთის რკინის გზის შესაკეთებლად მე-18 ე უბნის გზათა უფროსის მოთხოვნით დღიურად გამოგვყავდა 96 მუშა-ხელი, სულ გამოწვეული იქნა ამ საჭიროებისათვის 535 კაცი, თითოეული —10 დღით. რკინის გზის სამმართველოს დაპირებით მუშებს უნდა მისცემოდათ დღიურ ხელფასათ 15 000 მან. და კუთვნილი უფლება, მაგრამ სამწუხაროდ, სამმართველოს ეს დაპირება არ შეუსრულებია. მუშა ხელის გამოყვანას მოჰყვა ტვირთ-საზიდავ საშუალებათა ბეგარა, მაგ. ყვარელის რაიონიდან გაწვეულ იქნა 1200 ურემი, ორი დღით, შპალების, მორების და შეშის გადმოსაზიდველად. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აძლევდა მეურმეთ გასამრჯელოს. სხვადასხვა დაწესებულებათა მოთხოვნით განყოფილებამ გაატარა დურგალთა მობილიზაცია, მაგ, სადგილმამულო განყოფილებას მიეცა ათი დურგალი, კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას—8, ხოლო კახეთის რკინის გზის სამმართველოს—4. ხსენებული მუშები ხელფასს ღებულობდნენ ტარიფის მიხედვით.

თელავის წარმოება-დაწესებულებათათვის ნაფარეულის რაიონიდან შუამთის ტყიდან შეშის მოსატანათ, გავიწვიეთ 666 ურემი, თითეულ მათგანს მიეცა თითო საქონის გადმოტანისათვის 1 ნახ. ფუთი ნავთი. სხვადასხვა სამხედრო უწყებათათვის შეშის გადმოსაზიდავათ გამოვიყვანეთ 75 ურემი, თითეულ მეურმემ მიიღო 7 არშინი მიტკალი.

შრომის განყოფილება ცდილობდა ბეგარით გამოყვანილთ მიეღოთ შეძლებისამებრ ხელფასი, ეს აიხსნება იმით, რომ სანამ შრომის განყოფილება შეუდგებოდა ბეგარათა საკითხების მოგვარებას, მანამ მაზრაში ხდებოდა უთავბოლო იძულებითი გაწვევა მცხოვრებთა, ცხენების, ტვირთსაზიდავ საშუალებათა და სხ. და რადგანაც განყოფილებას ხელმეორედ უხდებოდა ისევ იმ პირების გამოყვანა, ამიტომ მათი უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად შრომის განყოფილებამ მიმართა ზემომოყვანილ საშუალებას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მდიდარი ვაჭრები და „კულაკები“ არ გამოდიოდნენ სამუშაოდ, რომლის მიზეზათ ზოგი ავადმყოფობას ასახელებდა. ასეთების გასასინჯველად არსებობდა ექიმთა კომისია, და თუ მართლა ექიმთა კომისია დაადასტურებდა ასეთ პირების ავადმყოფობას, მაშინ განყოფილება მათ სამაგიეროდ ფულს ახდევინებდა ღარიბთა სასარგებლოდ.

განყოფილებაში შემოდიოდა დიდძალი მოთხოვნილება მასწავლებლებზე, ვინაიდან მათ ბევრს ჰქონდათ მიტოვებული თავისი პროფესია და მსახურობდნენ სხვადასხვა დაწესებულებების კანცელარიებში, რისთვისაც შრომის სახალხო კომისარიატის დასტურით ჩვენ მიერ მოხსნილი იქნენ კანცელარიებიდან ისინი და გადაცემული განათლების განყოფილებისათვის, ხოლო მათ ნაცვლად განყოფილებამ გააგზავნა აღრიცხვაზე მყოფ უმუშევრებში სათანადო მოსამსახურეები.

სიღნაღის მაზრა.

(ამხ. ჰაირაპეტოვის მოხსნება)

სიღნაღის მაზრის შრომის განყოფილება დაარსდა მარტის 1-ლს; პირველ ხანებში განყოფილებას უხდებოდა მრავალგვარ დაბრკოლებათა გადალახვა, როგორიც იყო ბინის უქონლობა და სხ. ამ ჟამად განყოფილების შტატი შესდგება 5 კაცისაგან. განყოფილების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 135 უმუშევარი ამათში სამუშაოზე გაიგზავნა 95 კაცი, ხოლო უმუშევრებად დარჩნენ 40 კაცი. უმუშევართ განყოფილება ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს. ყოველ დაწესებულება-წარმოებას შემოვაღებიეთ მუშა-მოსამსახურეთა სავალდებულო სიები და ამასთანავე ვღებულობთ ყოველ-თვიურ სასწრაფო აღრიცხვის ბარათებს წარმოება-დაწესებულებიდან.

შტატების შემცირებაში და საკონფლიქტო კომისიაში, მე, როგორც განყოფილების გამგე, ვღებულობ მონაწილეობას. გარჩეულია 13 კონფლიქტამდე. შრომის დაცვის საკითხები გადავეცით პროფკავშირებს. შრომის დეზერტირობას ჰქონდა მაზრაში ადგილი, დეზერტირებს ვიჭერდით და ვამუშავებდით უფასოდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამუშაოზე. პროფკავშირებთან გვქონდა ცოტაოდენი შეხლა-შემოხლა ფუნქციათა განაწილებაში, მაგრამ ამ ჟამად ეს მოწესრიგებულია.

სიღნაღის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა სამი ათას კაცს. შტატების შემცირების შემდეგ, ამ ჟამად, დარჩენილია 800 კაცი. რაც შეეხება სამსახურიდან განთავისუფლებას და შვებულების მიცემას, იყო ბრძანება, რომ არავინ საენთავისუფლებინათ და შვებულებაში არ გაეშვათ შრომის განყოფილების ნება-დაურთველად.

ბეგარათა გატარებას განყოფილებამ ხელი მიჰყო 1 ოქტომბრიდან. საერთოდ ტვირთ-ზიდვის და მუშა-ხელის მოთხოვნილებათა რიცხვი მეტის მეტად დიდი იყო. სანამ ჩვენ დავიწყებდით ბეგარის გატარებას, მანამ მცხოვრებლები გამოყავდა სამხედრო უწყებას, რევკომს და სხ. ძალად ართმევდნენ მცხოვრებლებს ცხენებს, რაიც იწვევდა მცხოვრებლების უკმაყოფილებას და ცხენების გადამალვას. შრომის განყოფილების მიერ გაცემულ განკარგულებით, ყველა დაწესებულებებს ერთმეოდათ უფლება თვითნებობით ბეგარის გატარებისა, ჩვენი დაუკითხავად. განყოფილებამ ბეგარათა გატარებამდე მიმართა აგიტაციას. უხსნიდა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივად ბეგარას, გზების შესაკეთებლად და სურსათ-სანოვაგის გადასაზიდავად ჩვენ მიერ გაწვეულ იქნა 4806 მუშა-ხელი, 3893 ურემი და 13 ცხენი. ამ დარგში განყოფილებას დიდი სამუშაო აქვს. გზები სიღნაღის მაზრაში ბევრ ადგილას გაფუჭებულია.

ბორჩალოს მაზრა

ამხ. მილლერის მოხსენება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ბორჩალოს სამაზრო რევკომთან დაარსებულ იქნა შრომის ინსპექცია, რომელიც გადაკეთდა შემდეგ შრომის განყოფილებათ. მისი თაოსნობით აღრიცხული იქმნა 600 უმუშევარი. ამათში უმრავლესობას შეადგენდა გონებრივი მომუშავენი, რომლებიც განაწილებულ იქნენ საბჭოთა დაწესებულებების მოთხოვნით. იმ ხანებშივე ჩვენ მოგვიხდა მობილიზაციით გაწვევა 20 დღის ვადით კვალიფიციურ მუშებისა, და ადგილობრივ მცხოვრებთა მენშევიკების მიერ დანგრეულ არუხლინის ხიდის აღსადგენად, რაიც სასურველად ჩავატარეთ. ამასთანავე განყოფილების მიერ შექნილ იქნა ეგრედ წოდებული „მეურნავი“ შრომის ბირჟა, ე. ი. რომელთა წევრებს შეადგენდენ სამეურნეო დარგის მუშები; მაგ., ადგილობრივ გლეხობას ესაჭიროებოდა პურის მოსამკელათ მუშა-ხელი, და ჩვენც უგზავნიდით. პირობა ასეთი იყო: თითოეულ დესიატინის მოჭკაში მუშებს უნდა მიეღო 12 ფუთი ხორბალი, და სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა მრავალი კონფლიქტები გლეხებსა და მუშებს შორის, რადგანაც მიმდინარე წელი იყო მოუსავლიანი, თითო დესიატინა საშუალოდ იძლეოდა 30 ფუთს.

ამასთანავე პირველ ხანებში მაზრის მცხოვრებნი მეტის მეტად შეწუხებული იყვნენ როგორც სხვა და სხვა დაწესებულებების, ისე განსაკუთრებით, სამხედრო ნაწილების მიერ გატარებულ უწესრიგო ბეგარებით, და განყოფილებამ, რათა აეცილებია მცხოვრებთა უკმაყოფილება, მიაქცია ყურადღება, რათა ბეგარებს ერთგვარი სისტემა ქონოდათ. სულ გაწვეულ იქნა 2549 ტვირთ-საზიდავი საშუალება სხვა და სხვა რაიონებიდან. განყოფილება სათანადო ყურადღებას აქცევს დაწესებულებებში და წარმოებებში არსებულ შრომის პირობებს და შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება განკარგულებების სისრულეში მოყვანას, როგორიც არის მაგალითად, სავალდებულო სიების შემოღება, სასწრაფო აღრიცხვის ბარათის შეფგენა დაწესებულება წარმოების მიერ. აგრეთვე მუშა მოსამსახურეთა მიღება დათხოვნას განყოფილება განაგებს.

ადგილებიდან მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა საერთო კამათი, ამხ. თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება, რომ ტეხნიკურ თვალ საზრისით საქმის გასაადვილებლად და უფრო გასაშუქებლად გამოყოფილი იქნას აღრიცხვა განაწილების სექცია და ბეგარის სექცია, რომლებიც გამოიმუშავებენ საერთო გეგმას მომავალ მუშაობისას და წარუდგენენ ყრილობას, რაიც მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა. აღრიცხვა-განაწილების განყოფილების გამგე კურპელი, ბაბალოვი, კუზიაკინი, ღლონტი და ლომაძე, ხოლო ბეგარათა სექციაში—ბეგარათა განყოფილების გამგეგოდაბრელიძე, ნასყიდაშვილი, გვარამიძე, ქურდოვანიძე და ლომაძე.

საქართველოს პროფ. კავშირთა პლენუმის სხდომის გამო ყრილობის შემდეგი სხდომა გადიდო შემდეგი დღისათვის.

ჩვენი ბრძოლის ხალისი

ჩვენი ბრძოლის ხალისი
უკვე სულმა იწამა,
სევდის ტრიალს ყოველ წამს
ვერ გაუძლო მიწამა...
და აფეთქდა უეცრად
ვით წყალში დინამიტი,
თან აღსრულდა რასაც კი
ველოდით ჩვენ ამითი!

—

ბობოქარ ზღვას მოვტაცეთ
უძლევი მღელვარება,
გრდემლზე ცხელ შანთს მდებარეს
შუქმფენი ელვარება;
ჰქქა ქუხილს—რისხვა ცის
დღემდე გაუკონარი,
და ბუმბერაზ სალ კლდეებს—
სახე დაუღონარი,—
რომ ხმელეთს მოჰფენოდა
მზის, მთვარის ბრწყინვალება,
თან ჩაგვეკლა ერთის თქმით
სიდუხჭირე, წვალება.

—

და ეს რწმენა ცხოველი
გულმა მტკიცეთ დაიცა,
თუმცა ხშირათ ვედრებდა
ჯერ ადრეა, დაიცა!
მაგრამ ცეცხლი მიწის, ცის
სჭექდა და არ დგებოდა,
არე მარეს, მსოფლიოს
სურდა, რომ მოსდებოდა!

ნანატრ, აღთქმულ ქვეყნისა
შორეული ნაპირი,
ვარსკვლავივით ბრწყინავდა
ცხადი ჰქო დანაპირი;
ცხადი ჰქო, რომ სევდის დღეს
ხვალეს ნათელი შურდა,
და ზვირთებით ცეცხლისა
აღსდგა, აშარიშურდა!

—

აღსდგა ცეცხლის გრიგალი
ურჩი, არე-მარეში,
მკვდრებიც კი გაალვიძა
მყოფნი შავს სამარეში;
გადალახა, მთა-ველი,
ცეცხლის კვერთხი დაჰკრა მთებს,
და ამ შმაგი ნაბიჯით
ჟამთა ბრუნვას ანათებს...
ანათებს ჩვენ ტანჯულ სულს
ანათებს ჩვენ გმირობას,
და სიმტკიცით ეპყრობა
ერთხელ აღთქმულ პირობას!..

—

ჩვენი ბრძოლის ხალისი
უკვე სულმა იწამა,
სევდის ტრიალს ყოველ წამს
ვერ გაუძლო მიწამა..
და აფეთქდა უეცრად
ვით წყალში დინამიტი,
თან აღსრულდა რასაც კი
ველოდით ჩვენ ამითი!

იონა ვაკელი

* * *

ჩვენი ცხოვრება, აზროვნება და მელოდია,
ბოლოს და ბოლოს—სასიკვდილო, ცივი ლოდია,
მაგრამ როდესაც დავინახავ ხალხის წყურვილებს,
მეც ვხალისდები, შორს გავტყორცნი ყოფილ სურვილებს.

შესწყდება ძარღვში პესიმისტურ სისხლის დინება;
ქალაქის შფოთვა სულს ვარდივით დაეფინება;
მსოფლიო ჩრდილ ქვეშ თვალწარმტაცად ჩამეძინება,
გარს მომეხვევა ხელოვნების აქვითინება.

და ზმანებისას მე გავიარ ბინძურ ქუჩებში
და მაწანწალას მე ჩავხედავ ფერმკრთალ ტუჩებში;
ხელს ამხანაგურს გავუწოდებ და ვეტყვი ტკბილად:
ჩემო ძმობილო, რატომ ოხრავ, რად ხვნეში ტყვილად?

შეხედე, როგორ შეღებილა ზეცის კამარა?!
აიღე ხელში ამა სოფლის მკვეთრი ნაღარა!
დაჰკარი მედგრად, რომ შემოკრბეს შენთან მთა-ბარი,
რომ შენმა ოხვრამ აგვაზვირთოს ვით ნიაღვარი!

ხომ ხედავ ვარსკვლავს, რა დიადად გაბრწყინებულა,
და მის გარშემო ზეცის თაღი აყვავებულა?!
აი ის არის მომავალის მსოფლიო ბედი,
იქ ასვენია შენი მიზნის წინამორბედი!

შორს შიში, ძიწოლა!.. ხელთ აიღე მაშვრალთ ნაღარა,
დაჰკარი!.. იმას გაიგონებს ზეცის კამარა!

შ. არხაიპოლელი.

პატარა ფელეტონი

ამხანაგური ვახშმები

ის შეადგენდა საერთო კუთვნილებას.

ყველა მოვალეთ სთვლიდა თავს წაეგდო მისთვის თითო ლუკმა მიღებულ ულუფიდან.

რადგან ულუფის ამა თუ იმ ნაწილს თითქმის ყოველ დღე ღებულობდენ, ამიტომ მაშკასაც საჭმელი თავზე საყრელი ჰქონდა.

ის ეხლა სრულიათ აღარ ნანობდა, რომ თავის წინანდელ პატრონს არ გაჰყვა სტამბოლში გაქცევის დროს.

მაშკა უაღრესათ მატერიალისტი იყო. მან ამჯობინა დარჩენილიყო მომარაგების სამინისტროს ეზოში,—სადაც მენშევიკების საჩქარო ევაკუაციის დროს ოხრად ცვივოდა მიწაზე ყოველნაირი პირის ჩასატკბარუნებელი,—ვიდრე გასდევნებოდა უკან თავის პატრონს, რომელმაც თითონაც არ იცოდა, სად მოუხდებოდა შეყუდება.

ცოტა შიში კი ჰქონდა მივლინებულთ სამაგიერო მოვლინებულების, ამიტომ ყოყმანში იყო უკანასკნელ წუთებში, მაგრამ ამ დროს მუშებს შაქრით სავსე ტომარა გაუსკდათ და ტალახში დალაგდა თოვლივით თეთრი შაქრის კიჭები. ამ გარემოებამ მაშკას ყველაფერი დაავიწყა და ის ერთგულათ შეუდგა დაშაქრული ტალახის ჩუჩქნას. აღარც კი შეუმჩნევია, როგორ წავიდა პატრონი.

ახალ მოვლინებულები არც ისე საშიში ხალხი გამოდგა, როგორც ეს გაგონილი ქონდა მაშკას.

შემოვიდნენ თუ არა ისინი ეზოში, იმ წუთშივე შეუდგნენ ყველაფრის აწერას, რაც დარჩა გაქცეულებისაგან, და რიგზე დაწყობას.

მაშკასთვის ყურადღებაც არავის არ მიუქცევია. ამიტომ ის დარჩა აღწერის წიგნში შეუტანელი.

ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ეზოში დაბნეული საჭმელი შემოელია მაშკას, თხილით სავსე ტომარას გაჰკრა მან დრუნჩი და დაუწყო ტკაცუნება კაკალს. მხოლოთ ეხლა შეამჩნიეს ის და გადენეს ეზოდან. მაგრამ, რადგან მას წასასვლელი არსად ჰქონდა, ამიტომ უკანვე დაბრუნდა.

ბოლოს ადგილობრივი კომიტეტი იძულებული შეიქნა მიექცია მისთვის სათანადო ყურადღება. თუმცა აღსაწერ წიგნში ახლაც არ მოხვდა, მაგრამ მაინც შეიქნა სასურსათო განყოფილების საერთო ოჯახის წევრი და ჩქარა საყვარელ არსებათაც გადაიქცა.

მისდამი ეს სიყვარული ერთი ათათ გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ცხრა დახვითქინებული გოჭები დაჰყარა.

ამის შემდეგ მაშკა თავისი გოჭებით შეიქნა თვით ადგილობრივი კომიტეტის სხდომების დღის წეს-რიგში მსჯელობის საგნათ.

და აი, ერთ ასეთ ადგილობრივი კამიტეტის სხდომაზე, მოკლე თათბირის შემდეგ, გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ახალი ეკონომიური პოლიტიკის და შტატების შემცირების აღსანიშნავათ გაიმართოს ამხანაგური ვახშამი,—მცირე ფსონის მოგროვებით მონაწილეთა შორის. ვახშმისთვის დაკლულ იქნას გოჭები, მაშკა კი წინანდებურ პატივით შენახული და გასუქებული. შეგროვილი თანხა მოხმარდეს განათლების საქმეს.“

ითქვა—იქნა კიდევაც. ეს ამხანაგური ვახშამი ისე საუცხოოთ ჩატარდა, რომ დამსწრეთ კარგი ხანია არ ახსოვდათ ასეთი მხიარულებით გატარებული დრო.

მადა ჭამაში მოდისო,—იტყვიან. მადაზე მოსულ მოქეიფეთ ვახშმის განმეორება მოისურვეს სანამ მაშკა ხელახლა გოჭებს მოიყვანდა, მანამ დიდი ხანი გავიდოდა. ამიტომ ადგილობრივ კამიტეტის მახლობელ სხდომაზე დაისვა საკითხი თვით მაშკას დაკვლის შესახებ, რაც ერთხმათ იქნა მიღებული.

ეს მეორე ამხანაგური ვახშამი, გამართული აგრეთვე ფსონის მოგროვებით ერთმანეთშორის, კიდევ უფრო მხიარული და მაძღარი გამოდგა. ქუდებს სულ ჰერში ისროდენ შეზარხოშებული მოქეიფენი.

ამ დღეებში სასურსათო განყოფილების ადგილობრივ კომიტეტის სხდომაზე გადასინჯული იქნა საკითხი ვახშმებზე მოგროვილ ფსონის თანხის შესახებ: მოხმარდეს ის წინანდელ დადგენილებისამებრ განათლების საქმეს, თუ სხვა რამ მიზნებისთვის იქნას გამოყენებული.

ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ კამიტეტმა დაადგინა,—გაიმართოს ამ თანხით მესამე ამხანაგური ვახშამი!..

ს. თ—ია.

პარტიული ცხოვრება

თბილისის მაზრის პარტიული კონფერენცია.

27 დეკემბერს, თბილისის სამაზრო რევკომის ბინაზე გაიხსნა სამაზრო პარტიული კონფერენცია. გახსნა რა კონფერენცია, სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. სუხიშვილმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მოკლეთ დაასურათა კომუნისტურ მოძრაობის ისტორია სრულიათ რუსეთის მასშტაბით. კომუნისტების პარტია, ამბობს ორატორი, აღმოცენდა 1903 წელს, როგორც შედეგი ატეხილ ბრძოლისა, მაშინდელ რუსეთის მთლიან სოციალ დემოკრატულ მუშათა პარტიაში. აგრეთვე ორატორი იხსენიებს 1905 წელს, როდესაც მენშევიკებმა გამოიჩინეს თავიანთი არა რევოლიუციონური სული მით, რომ 1905 წელს დამარცხების შემდეგ. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების დროს, განზე გაუდგნენ რევოლიუციონურ მოძრაობას და მონაწილეობა მიიღეს რეაქციონურ სახელმწიფო სათათბიროში. შემდეგი პერიოდი, ამბობს ამხ. სუხიშვილი, ხასიათდება ხანგრძლივი რეაქციით, რომლის დროსაც გაჩნდა „ლიკვიდატორობა“. ლიკვიდაცია მენშევიკების მიერ თავის არა ლეგალურ ორგანიზაციებისა და გადასვლა ლეგალურ შეთანხმებაზე მეფის მთავრობასთან. ასეთი პოლიტიკით მენშევიკებმა ანდერძი აუგეს რევოლიუციონურ მოძრაობას, ბოლშევიკები კი 1910 წ.-1915 წლამდე აწარმოებდნენ თავგანწირულ რევოლიუციონურ ბრძოლას, აარსებდნენ და ამაგრებდნენ არა ლეგალურ ორგანიზაციებს. ომის დაწყების შემდეგ მენშევიკებმა პლეხანოვის მეთაურობით რუსეთში და ნოე ჟორდანიის მეთაურობით აქ, მიიღეს დიდი მონაწილეობა ომში მით, რომ იმპერიალისტურ ომის დასახმარებლად შექმნეს „სამხედრო სამრეწველო კომიტეტი“. მენშევიკების შეთანხმებული პოლიტიკა თებერვლის რევოლიუციის დროს და მათი ღალატი პროლეტარულ ინტერესებისადმი,—ათავებს ორატორი, ამტკიცებს, რომ მენშევიკებს არა აქვთ არავითარი რევოლიუციონური სული და პროლეტარული სოლიდარობა.

ამხ. მგელიშვილის წინადადებით, კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეთ აირჩიეს საქართველოს კომპარტიის მეთაურები: ამხ. მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე.

პრეზიდიუმის და სამანდატო კომისიის არჩევა.

კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. სუხიშვილი, მგელიშვილი და ტიგიშვილი, სამანდატო კომისია: ამხ. ადამიძე, თამარ სტურუა და ამირაღოვი.

მისალმება.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. მიხა ტოროშელიძე, რომელიც ხაზს უსვამს კომპარტიის ბეჯით მონაწილეობას შემოქმედებით მუშაობაში

მოწოდება

ს. კ. პ. თბილისის მაზრის ორგანიზაციების კონფერენციისა;

ძმებო და ამხანაგებო, თბილისის მაზრის მშრომელო გლეხკაცობავ და წითელ-არმიელებო!

ყოველ თქვენთაგანს ამხანაგებო, ახსოვს, თუ როგორ მძიმე მატერიალურ და უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა ის, ვისი გამუდმებული შრომითაც შენდებოდა ბედნიერი ცხოვრება მდიდარ გლეხებისა და კაპიტალისტებისა, ვისი პურით (ოფლით) სუქდებოდენ ქვეყნის შემჭმელი მემამულეები.

საქართველოს მცხოვრებთა ოთხმოცდა-ათი პროცენტი,—მშრომელი გლეხკაცობა ეწეოდა რა გამუდმებით მუშაობას შრომის მძიმე უღლის ქვეშ შიშველი, შეცივებული, მშიერი, როგორც სასიკვდილოთ განწირული მონა სრულებით მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას სახელმწიფოებრივ აშენებლობაში, სრულებით მოწყვეტილი იყო სახელმწიფო აპარატს. და ეს იყო ასე მოწყობილი მემამულე-კაპიტალისტებისა და მათ მიერ დაქირავებულ ჩინოვნიკთა არმიის მიერ. იცოდნენ, რომ უპიწო-წყლო, გაფცქვნილ გლეხების სახელმწიფო აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებით დაიმხობოდა და დასასრული მიეცემოდა დამჩაგვრელთა ბატონობას, ხოლო გამარჯვება და ზეიმი ხვდებოდა მარტო მშრომელთ.

ისტორიის ნებისამებრ ამა წლის 25 თებერვალს დაჰკრა გაძვალტყავებულ საქართველოს მშრომელი გლეხკაცობის განთავისუფლების საათმა. ძმურმა, პროლეტარულმა წითელმა არმიამ საბჭოთა რუსეთისა გაიგონა რა გულების სიღრმიდან ამოხეთქილი, უზომო მწუხარების გამომხატველი გმინვა და დაიძახა რა თქვენი შეურყეველი გადაწყვეტილება, დაემხო მენშევიზმის მიერ აგებული დაუნდობელი რეჟიმი,—რომელიც თანამშრომლობდა როგორც შინ, ისე გარეთ თქვენს კლასობრივ მტრებთან, მემამულე კაპიტალისტებთან, მოვიდა თქვენდა სახსნელად და თქვენთან ერთად ბრძოლით განთავისუფლა მშრომელი საქართველო დამჩაგვრელ, ძველი საქართველოს ბატონობისაგან.

თუ წინად, სისხლის მსმელ ნიკოლოზისა და გამყიდველ მენშევიკების ბატონობის დროს მუშაობდით მემამულეებისათვის, მთელი თქვენი მოქმედება მიმართული იყო კაპიტალისტების ინტერესის დაცვისაკენ, გადაქცეული იყო ეს არა მარტო იძულებით, არამედ კანონიერ მოვლენადაც,—ეხლა ეს ითვლება სამარცხვინო მოვლენად და დანაშაულად. მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა საქართველოსი არ დაუშვებს ასეთ საქციელს, ასეთ მოპყრობას იმათდამი, ვინც აშენებდა და აშენებს დღეს სახელმწიფოს ეკონომიურად და კულტურულად. ცხოვრების ამშენებელი არის გლეხები და მუშები და მხოლოდ ისინი უნდა იქნან უფლება-მოსილნი სახელმწიფო კითხვების გადაჭრა-გადაწყვეტაში.

მშრომელი გლეხკაცობა და მუშები ქმნიან თავიანთ ხელისუფლებას სახელმწიფოში. ამისათვის აუცილებელი არის შესაფერი ორგანოები. ასეთ ორგანოებათ ითვლება გლეხთა, მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო. და აი ეხლა, როცა საჭიროა შევქმნათ ის ორგანოები, პირველი ლეგალური პარტიული კონფერენცია თბილისის მაზრისა მოგმართავთ თქვენ წინადადებით: ყველა პატიოსანო მშრომელო გლეხებო და წითელარმიელებო! მიდით თქვენი დეპუტატების საბჭოს არჩევნებზე. იჩქარეთ შექმნათ საკუთარი ორგანოები ხელისუფლებისა ადგილობრივად, დაიცავით იგი ყოველგვარ თქვენ მოღალატეებისაგან.

თქვენს საბჭოში არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც ერთ მენშევიკს, არც ერთ ესერს, დაშნაკს, მუსავატელს და ფედერალისტს. არც ერთ მდიდარ გლეხს, მემამულეს და მათ იდეურ თანამშრომელ მღვდლებს! **გახსოვდეთ** ეს, თქვენი ინტერესების გამყიდველები და **დაუზოგველად გაყარეთ** ისინი თქვენგან.

არც ერთი ხმა მათ **თქვენი კითხვების გადაჭრაში!**

გაუმარჯოს გლეხთა, **მუშათა** და წითელარმიელების დეპუტატთა საბჭოს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გაათავისუფლა დაჩაგრული მშრომელი ხალხი მენშევიზმის ბრჭყალებიდან!

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის მაზრის ორგანიზაციების კონფერენცია.

და მოუწოდებს არა თუ მარტო სიტყვით, საქმითაც შეუდგნენ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს გამაგრებას. ამხ. ს. მეგრელიშვილი ესალმება კონფერენციას თბილისის სამაზრო რევკომის სახელით და ახასიათებს კომუნისტურ პარტიას, როგორც საყრდენს, რომელზედაც სდგას საბჭოთა ხელისუფლება. უკანასკნელად კონფერენციას ესალმება თბილისის მაზრის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი.

მისასალმებელი დეპეშები.

კონფერენცია უგზავნის მისასალმებელ დეპეშას: საქართველოს კომპარტიის ცეკას, საქართველოს რევკომს, წითელ ლაშქარს, თბილისის და ბათომის წითელ საბჭოებს და კავკასიის ცალკე ლაშქარს.

დღიური წესრიგი.

ამტკიცებენ შემდეგ დღიურ წესრიგს: 1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) სამანდატო კომისიის არჩევნები, 3) მოხსენება მიმდინარე მომენტზე და ახალი ეკონომიური პოლიტიკა—ამხ. ტოროშელიძე. 4) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია—ამხ. ამირალოვი, 5 სამაზრო კომიტეტის მოხსენება—ამხ. სუხიშვილა, 6 მოხსენება სამაზრო რევკომისა და მის განყოფილებათა მუშაობის შესახებ—ამხ. ესხი, 7) საორგანიზაციო აღმშენებლობა—ამხ. ლონაძე, 8 სამაზრო კომიტეტის არჩევნები, 9 სამაზრო სარევიზიო კომისიის არჩევნები. 10) ც. კ. წარმომადგენლის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ყრილობის შესახებ, 11 არჩევნები პარტიის ყრილობისათვის, 12) მიმდინარე საქმეები.

მოისმინა რა ამხ. ტოროშელიძის და ამირალოვის მოხსენებანი, კონფერენცია შეუდგა კამათს ამ მოხსენებათა შესახებ, კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. სტურუამ, ფილკოვსკიმ, ლონაძემ და სხვამ.

პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის.

სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელი ექსპედიციის კომიაჩეიკამ, მოისმინა რა მოხსენება იაჩეიკის წევრების შესახებ, რომელნიც თავის პარტიულ მოვალეობას ცივად ეკიდებია, დაადგინა: გამოეცხადოთ გაკიცხვა ამხ. ჩუხროვს, იუდინს და მამულაშვილს, რომელთაც კრების მთელი რიგი გამოუშვეს უმიზეზოთ.

პას. მგ. მდივანი **ბურჯანაძე.**

წარმოებითი პროფკავშირებში

საექიმო-სასანიტარო შრომის კავშირის მოქმედება ნოემბრის თვეში.

თბილისის დაწესებულებებში გატარებულია 19 საორგანიზაციო კრება ადგილობრივ კომიტეტების ხელ-ახლად ასარჩევად. გატარებულია მეოთხე საოლქო კონფერენცია ბათომის ოლქის საექიმო-სასანიტარო შრომის კავშირისა. მომარაგების ქვეგანყოფილების მიერ მცხეთაში დამზადებულია 150 კუბ. საჟენი შეშა კავშირის წევრთათვის. აფთიაქებში შექმნილია მტკიცე შტატები და აგრეთვე მიღებულია ზომები, რათა აფთიაქები რეგულიარულად და თანასწორად მომარაგებული იქნენ მედიკამენტებით. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საფარმაცევტო განყოფილებას განკარგულებაში არის ერთი ვაგონი ყოველ დღე მოგვარებულია წამლების ნორმალური გაცემა აფთიაქებიდან დაწესებულებათა ხარჯზე, რითაც მოეღო ბოლო მშრომელთა შორის უფასოდ მედიკამენტების არა რაციონალურ განაწილებას. დათვალიერებულია სახელმწიფო ლაბორატორია გალენის პრეპარატებისა და ლაბორატორიის გამგეს მიეცა წინადადება ლაბორატორიის ხელახლად მოწყობისა და გაფართოვების პროექტის შედგენა, სამსახურის გასაწევად არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის პროექტი უნდა წარდგენილ იქნეს ს. პ. კ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში კავშირის ეკონომიურ განყოფილების საშუალებით. შრომის დაცვისა და კულტურულ მუშაობის დარგებში არსებითად არაფერი არა გაკეთებულა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა პროფკავშირები.

რკინის გზის პროფკავშირების პლენუმის სხდომაზე შრომის ხელფასის გადახდისთვის ტარიფის საკითხში დადგენილია დეკემბრის 1 დან შემოღებული იქნეს შრომის ხელფასი გადახდის ახალი წესი.

ქსელის დამუშავება გამოიხატება რ. ს. ფ. ს. რ. ნიშნების მანეთის შესაფერ კურსის მიხედვით. ფონდები ირკვევა. მინიმუმი პირველი ხარისხისთვის დაწესებული 500 ათასი მანეთისათვის რ. ს. ფ. ს. რ. ნიშნებით.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმში

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საშტატო კომისიისა და კავშირთა შორისო ორგანიზაციებში შტატების შესამცირებლად. საშტატო კომისიამ დაადგინა კავშირებში გაუქმოს თავმჯდომარის თანამდებობა, გააერთიანოს ეკონომიური სანორმო სატარიფო განყოფილება შრომის დაცვისა და კულტ-განყოფილებაში, დამტკიცდეს ერთი გამგე ორ განყოფილებისთვის. ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა საშტატო კომისიის მოხსენების დამტკიცება.

კავშირთა შორისო ორგანიზაცია შტატების შესახებ პრინციპიალურათ მიღებულია, ამხ. ოდილავაძეს წინადადება მაზრებში გარდა ბათუმისა მთლიან კავშირის სექციებათ მოწყობისა მათზედ სამაზრო პროფბიუროს სახელის დატოვებით მიღებულია. საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა სათანადო დებულების შემუშავებისა.

კონფლიქტების გამო სასჯელის მოსახდელი ზომები.

ქვეგანყოფილების საკონფლიქტო კომისიისა და შრომის სახალხო კომისარიატის დაბარებაზე გამოუცხადებელ პირთა წინააღმდეგ ზომების მისაღებათ დადგენილია დაევალოს ამხ. მიქაძეს, ელბაქიანის და ჯულელის შემადგენლობით შემდგარ კომისიის ს. მ. უ. ს. წარმომადგენლებთან ერთად დებულების შემუშავება დასჯის შესახებ. იმავე კომისიას დაევალა მიღებისა და დათხოვის შესახებ დებულების შემუშავება. არჩეულია კომისია მთლიან დაზღვევის კანონის შესამუშავებლად ამხ. იაშვილის, ელბაქიანის, ჯულელის და ს. მ. უ. ს. ფინანსთა სახალხო კომისარიატის თითო თითო წარმომადგენლის შემადგენლობით. წერა კითხვის სალიკვიდაციო კურსების კურსანტებისთვის დადგენილია 2 საათ. ფულით გადახდა, კურსანტის საშუალო ნამუშევრის მიხედვით.

კულტურულ მუშაობის გაძლიერება.

ს. პ. კ. ს. კულტურული განათლების კოლეგიამ შეიტყო მუშათა კავშირებში სუსტათ არის დაყენებული კულტურული მუშაობა, გამოიტანა დადგენილება: მიექცეს ცენტრალურ გამგეობის კულტურულ განყოფილების ყურადღება მას რომ აღნიშნულ კავშირებში საჭიროა კულტურული მუშაობის გაძლიერება და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

სახალხო კავშირის გაზეთი.

ს. პ. კ. ს. კულტურული განყოფილების კოლეგიის მიერ ნება დართულია სახალხო კავშირის გაზეთის გამოცემა, გაზეთს გამოსცემს კავშირი თავისი საშუალებით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 116.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტში რკინის გზის სამართველოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტის მოწყობის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წლის ნოემბრის 28 თარიღითა და 105 №-ით გამოცემული დადგენილების დამატებად—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1) წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტის შემადგენლობაში დაინიშნოს აგრეთვე რკინის გზის სამმართველოს ერთი წარმომადგენელი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 22.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 117.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.—საქართველოს წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქვემდებარეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური ტრიბუნალების რეორგანიზაციამდე,—დაექვემდებაროს საქართველოს უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს საქმეები საქართველოს წითელარმიის სამხედრო მოსამსახურეთა, რომელთაც ბრალდებათ:

ა) კონტრ-რევოლიუციური მოქმედება, როგორიც არის მაგალითად: შეთქმულება, აჯანყება, ტერორისტული აქტი, დარბევა, ჯაშუშობა, სახელმწიფოებრივი ღალატი, აგრეთვე სხვა რამ, რაც საქართველოს საბჭოთა წყობილებისათვის აშკარა საფრთხეს წარმოადგენს.

ბ) მოქმედება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას აშკარად ნდობას უკარგავს.

გ) თანამდებობითი მძიმე დანაშაული, როგორიც არის მაგალითად: საბოტაჟი, მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა, მითვისება და გაფლანგვა, აგრეთვე ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებულად მავნე შედეგი.

დ) მსხვილი სპეკულიაცია.

ე) დეზერტირობა, აგრეთვე დეზერტირებისათვის ხელის შეწყობა და მათი წაქეზება თუ დაფარვა, რამდენადაც სადეზერტირო კომისიების და კანონით ეს საქმეები მათ კომპეტენციას აღემატება

და ვ) სამხედრო ბრძანებათა აუსრულებლობა და სხვა სპეციალური სამხედრო დანაშაული.

2. ყველა დანარჩენი საქმე საქართველოს წითელ-არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ ექვემდებარება საქართველოს სახალხო სასამართლოს.

3. თუ დანაშაული საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზეა ჩადენილი, როგორც საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ არა საქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა თანამონაწილეობით,—საქმე, როგორც პირველთა—ისევე მეორეთა შესახებ განუყოფლივ განიხილება საქართველოს უზენაესს რევოლიუციონური ტრიბუნალის ან სახალხო სასამართლოს მიერ ქვემდებარეობისამებრ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 25.

თბილისი სასახლე.

დადგენილება № 118.

საქართველოს სოც. საბჭ რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა საცხოვრებელი მინიმუმის გადიდების შესახებ პროგრესიული საშემოსავლო ხარკისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. ივლისის 26 თარიღისა და 61 №-ის დეკრეტის მე-11 ნაწილის მე-2 და მე-4 სუბ. (მუხ. 44 საშემოსავლო ხარკის (ნალოგ) დებულებისა) შესაცვლელად,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს.

1. ყველა წყაროს შემოსავალი, რომლის რაოდენობა არ აღემატება ცხრა მილიონ (9.000.000 მანეთს, განთავისუფლებულ იქნეს საშემოსავლო ხარკის დაბეგვრისაგან. თუ აღნიშნული შემოსავალი ზემოხსენებულ თანხას აღემატება, იგი უნდა დაიბეგროს 61 №-ის დეკრეტით დამტკიცებულ ნუსხის მიხედვით.

2. სახელმწიფო საშემოსავლო ხარკის დებულების 45 მუხ. წესით გადასახადის შემცირების უფლება მიეცეს მხოლოდ იმ გადამხდელს, რომლის ხარკ-დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ოცდა თექვსმეტ მილიონ (36.000.000) მანეთს; ხოლო 46 მუხ თანახმად, ესევე უფლება მიეცეს იმ გადამხდელს, რომლის ხარკ-დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ორმოცდა თოთხმეტ მილიონ (54.000.000) მანეთს.

3. ამ დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს 1921 საგადასახადო წლის გადასახადზედაც.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წლ. დეკემბრის 26

ტფილისი—სასახლე.

სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან.

ზოგ, უმთავრესათ სპეკულიანტების და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ წრეებში ვრცელდება ხმები თითქოს სახ. სასურსათო კომისარიატის პურის დამზადება იმდენათ საზარალოა, რომ მის მიერ დამზადებული გირვანქა პური სახელმწიფოს უჯდება თითქმის 12.000 მანეთი.

საკმარისია ერთ წუთითაც კი თვალი გადავავლოთ ობიექტიურ ციფრებს, რომ დავრწმუნდეთ ვერსიის სრულ სიცრუეში.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა თავის არსებობის პირველ დღიდან ე. ი. 1921 წ. 26 თებერვლიდან 1-ლ დეკემბრამდე საქართველოს რევკომისგან მიიღო ფულათ 29,685,000,000 მან. აქედან 19.797.520.000 მან. სახალხო სასურსათო კომისარიატის დახარჯულ იქნა—ხორცის, ბოსტნეულობის, აბრეშუმის პარკის, სარძეო, მატყლის, ოპერაციებზე, საზოგადოებრივ გამოკვებაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ—მარილის, თევზის, პურის და სხვა პროდუქტების დამზადებაზე. რჩება—9.887.980.000 მან. ეს არის ის თანხა, რომელიც ფაქტიურად დაიხარჯა სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების მიერ პურის დამზადებისათვის შინაურ ბაზარზე. ეხლა, თუ ჩვენ შევკრებთ ყველა ჩვენს განკარგულებაში მყოფ არა სრულ ცნობებს (ზოგიერთ სამაზრო სასურკომებს, რწმუნებულებს, და კოოპერატიულ ორგანოებს ჯერ კიდევ არ ჩაუბარებიათ ანგარიში), მაშინ აღმოჩნდება, რომ ადგილობრივ ორგანოებს დაუმზადებიათ სულ 190,656 ფუთი ხორბალი და ფქვილი. აქედან ცხადია რომ საქართველოში დამზადებული თვითეულ ფუთი ხორბალი ჯდება ფული 50,000 მანეთზე ცოტა მეტი, თუ მხედველობაში მივიღებთ გამოცხობის დროს წონის მომატებას, მაშინ ცხადი გახდება, რომ ჩვენ მიერ დამზადებული გირვანქა პურის ღირებულება ძლივს აღემატება 1000 მანეთს. მაგრამ თუნდაც რომ დაუშვათ, რომ საქონლის სახით შინაურ დამზადებებზე იმდენივე დაიხარჯა, რამდენიც ფულათ, მაშინაც კი ჩვენ მიერ დამზადებული პურის ღირებულება ძლიერ მცირე იქნება ბაზრის საშუალო ფასთან შედარებით და ექვსჯერ ნაკლებიც იმ ზღაპრულ ციფრზე, რომელსაც ასახელებენ ერთნი უცოდინარობის გამო, ხოლო მეორენი იმისათვის, რომ ნდობა დაუკარგონ საბჭოთა ხელისუფლებას და სახსასურ. კომისარიატს.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 3 საათამდის.

1 იანვარს 1922 წელს დანიშნულია დაკრძალვა უდროვოთ გარდაცვლილ კომუნისტურ პარტიის მე-2 რაიონის წევრის ამხანაგ

ვასილი რიაზანცევის

გამოსვენება საუფლისწულო (უდელნის) ქუჩიდან 31, დილის 10 საათზე ყველა ამხანაგებს ვთხოვთ სცენ პატივი და დაესწრონ დაკრძალვას.

არსენალის კომიაჩეიკა.

საფონდო კომისიისაგან

უმ. ეკონომ. საბჭოსთან არსებული საფონდო კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველი ინდივიდუალი გაცემა ტანისამოსისა, ფეხსაცმელისა, და სხვა აუცილებელ სახმარო ნივთებისა სასურსათო ფონდიდან მოსპობილია.

შემდეგში ნივთებს მიიღებენ ნამუშევარი ფულის ანგარიშში თვით სახ. კომისარიატების ფონდიდან, რომლებსაც დაურიგებს თვით საფონდო კომისია.

ცალ-ცალკე პირადი შუამდგომლობა ინდივიდუალური გაცემისა საფონდო კომისიისაგან არ იქნება დაკმაყოფილებული.

— უმაღ. ეკონ. საბჭოსთან არსებული საფონდო კომისია ყველა სამეურნეო ანგარიშზე გადასულ საწარმოო დარგების საყურადღებოთ აცხადებს, რომ პირველ იანვრიდან 1922 წელს მათ აღარ მიეცემათ პურის ულუფა. ეს წარმოებები, როგორც უკვე იყო გამოცხადებული, შემდეგში მიიღებენ პურის ულუფას მთლიან მუშათა კოოპერატივიდან, რომელსაც სასურსათო კომისარიატი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს.

ფონდის კომისიის თავმჯდომარე **ერქომაიშვილი.**

ბეჭვდითი სიტყვის ცენტრ-ბიუროსაგან

I

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი ნაწარმოების გამავრცელებელ ცენტრბიურო აცხადებს პროვინციის ყოფილ აგენტების, მეგაზეთეების, რკინის გზის კიოსკების გამგეებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ თანახმად საქ. საბ. სოც. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი“ № 250), საქართველოს პროვინციის ქალაქებსა და დაბებში ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა-გასავრცელებლად კონტრ-აგენტები, რომლებიც დეკრეტის მე-5 მუხლის თანახმად ამ თანამდებობაზე მიიღებიან ადგილობრივი პარტიული კომიტეტის და რევოლიუციონურ კომიტეტის რეკომენდაციით. დანარჩენი სავალდებულო პირობები, ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა გავრცელების პროვინციელ აგენტებისათვის გათვალისწინებულია დეკრეტის სათანადო მუხლებში.

აგენტობის მსურველებმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ სათანადო განცხადება პირობების აღნიშვნით ცენტრ-ბიუროში (რუსთაველის პროსპექტი № 11).

II

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭვდითი ნაწარმოების გამავრცელებელი ცენტრბიურო ამით აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების, პროფკავშირების, პარტიული ორგანიზაციების და კერძო ხელის მოწერთა საყურადღებოდ, რომ 1922 წლის 1 იანვრიდან, თანახმად საქ. სოც. საბ. რევოლ. კომიტეტის № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი“ № 250), იწყება ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა. ყველა აღნიშნულ დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაუყონებლივ უნდა წარადგინონ ცენტრბიუროში (რუსთაველის პრ. № 11 ცნობა თუ რამდენი ცალი ამა თუ იმ გაზეთისა უნდა გაეგზავნოს მათ, განცხადების მიუღებლად გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბეჭდვითი სიტყვის ცენტრბიურო.

„მიწის მუშა“

(სასოფლო გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ)

გამოვიდა № 1

შინაარსი: რედაქციისაგან, მივბაძოთ თფილისისა და ბათუმის მუშებს; ჩვენი გზა; წერილი მიწის მუშას—გუცასი; „სძა ჭამა მეტათ შესარგი“; მიწის მუშას—ლექსი ს. ეულისა; ჩვენი სოფლის მეურნეობა—როგორ უნდა ვებრძოლოთ მოუსავლობას—აგრონ. ვ. კ—კისა. ქრონიკები უცხოეთის და საბჭოთა რესპუბლიკების; კორესპონდენციები სოფლიდან; გაზეთში მოთავსებულია სურათი თბილისის მ. და წით. არმ. საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ლ. დუმბაძის.

რედაქციის მისამართი: **თფილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19.**

საბჭოთა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ამ აცხადებს, რომ ყველა პირადობის მოწმობები, მიცემული კომისარიატიდან ამა წლის 24 დეკემბრამდე, ითვლება გაუქმებულად.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. საქმეთა სამმართველო.